მაია გურგენიძე

ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა ინტერნეტსივრცეში

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, მაია გურგენიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი მაია გურგენიძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით „ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა ინტერნეტსივრცეში“ და ვაძლევ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალურ კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: _____ (კახაბერ გოშაძე)

თარიღი: 16.08.2020

რეზიუმე

ინტერნეტის განვითარებამ და მასთან ერთად სოციალური ქსელების არსებობამ არაერთი პრობლემა წარმოშვა პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. თითოეული დემოკრატიული ქვეყანა და მათ შორის საქართველოც მოწოდებულია დაიცვას ადამინის ერთ-ერთი ძირითადი უფლება, კერძოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება.

2011 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, ქვეყანაში გამოიკვეთა ამ სფეროში არსებული არაერთი გამოწვევა, თუმცა, პარალელურად დაიწყო შესაბამისი პრაქტიკის ჩამოყალიბება. დროთა განმავლობაში ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნათა შესრულება განსაკუთრებით აქტუალური გახდა, მათ შორის, ინტერნეტსივრცეში, რომლის ხშირი მომხმარებლებიც არიან ბავშვები.

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს წინა პლანზე წამოწიოს ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვაზე არსებული გამოწვევები ინტერნეტსივრცეში, ასევე მისი დაცვის მექანიზმები, როგორც ქართულ ასევე საერთაშორისო რეგულაციების მიხედვით.

ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა ინტერნეტსივრცეში მსოფლიოსთვის აქტუალური საკითხია, რაც სამეცნიერო წრეებში ხშირად განიხილება, ამდენად, არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია წინამდებარე კვლევის განხორციელება ინტერნეტსივრცეში ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვის საუკეთესო გზების ჩამოყალიბების მიზნით.

Abstract

The development of the Internet and the existence of a social network have created a number of problems in terms of personal data protection. Every democratic country, including Georgia, is committed to protecting one of the basic human rights - the right to protection of personal data.

After the adoption of the Law of Georgia on Personal Data Protection in 2011, a number of challenges in this area were identified in the country, however, at the same time, relevant practices began to be established. Over time, compliance with the requirements of the above law has become particularly relevant, including in the Internet, whose frequent users are children.

The aim of the master's thesis is to bring to the fore the challenges of the protection of the child's personal data in the Internet space, as well as the mechanisms of its protection according to both Georgian and international regulations.

The protection of a child's personal data on the Internet is a topical issue in the world, which is often discussed in scientific circles, therefore, due to the existing challenges, it is advisable to conduct the present study to establish the best ways to protect a child's personal data on the Internet.

სარჩევი

რეზიუმე.....
Abstract…….
შესავალი…….
ლიტერეტურის მიმოხილვა.....

I. პერსონალურ მონაცემთა დაცვა როგორც ძირითადი უფლება……

1.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების ევოლუცია……

1.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებით დაცული სფერო და ჩარევის ფარგლები…….

1.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედი ძირითადი პრინციპები და წესები……

II. ბავშვის პერსონალური მონაცემების დამუშავება ინტერნეტში და პროცესში მონაწილე პირთა უფლებამოვალეობები……..

2.1. ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა……..

2.2. ბავშვის პირადი ცხოვრების დაცვა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება……

2.3. ბავშვის მონაცემების დამუშავებისას დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის უფლებამოვალეობები……

2.4. ბავშვის მონაცემთა დაცვის უფლების რეალიზების გზები და მეთოდები……

2.5. ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოებისთვის…….

2.6. ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა სოციალურ ქსელებში……

დასკვნა…….
ბიბლიოგრაფია……...

შესავალი

მე-20 საუკუნის ტექნოლოგიურმა წინსვლამ მნიშვნელოვნად განავითარა კაცობრიობა, რისი მაგალითიც ინტერნეტსივრცეა. რეალობის გათვალისწინებით, ინტერნეტის გარეშე ყოველდღიური საქმიანობა წარმოუდგენელია.

ციფრულ სამყაროზე დამოკიდებულება გამოიხატება სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად, პირადი მოხმარების მიზნებიდან გამომდინარე, სამსახურებრივი, პროფესიული და სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად, მისი დატვირთვა დიდი მნიშვნელობისაა. ტექნოლოგიების განვითარებას აქვს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. აღნიშნულმა ბევრი პრობლემა წარმოშვა ბოლო წლებში და უფრო აქტუალური გახდა, რადგან ამჟამად მეტი ადამიანი განიცდის მის გავლენას. ონლაინ სივრცემ დამატებითი საფრთხეები შექმნა სოციალური ქსელების მოხმარებისას, რაც ყველასთვის გამოწვევას წარმოადგენს.

ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციულ საზოგადოებაში სადაც ინტერნეტი სულ უფრო მეტად ერთვება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეს არის პლატფორმა, რომელიც მომხმარებლებს ერთმანეთთან ურთიერთობისა და სხვადასხვა მომსახურების მიღების საშუალებას აძლევს. ინტერნეტ ქსელი კომპლექსური სივრცეა და მისგან მომდინარე საფრთხეები ყოველდღიურად იზრდება, იგი წარმოადგენს ინფორმაციის მოძიების, განათლებისა და გართობის წყაროს, თუმცა მოხმარებისას, თავს იჩენს გარკვეული რისკები, განსაკუთრებით ბავშვებთან მიმართებით, რადგან ინტერნეტსივრცეში ყველაზე დაუცველ ფენას ბავშვები წარმოადგენენ.

ბავშვების ინტერნეტზე დამოკიდებულების ასაკი ყოველწლიურად მცირდება, რადგან ხშირ შემთხვევაში მშობელი პატარაობიდანვე აძლევს

ბავშვს მასზე წვდომის უფლებას, გართობის მიზნით, ხოლო ამას შეუძლია ბავშვის ნერვული სისტემის დაზიანება. ასევე, ინტერნეტ სივრცეში ბავშვი შეიძლება გახდეს კიბერბულინგის მსხვერპლი. სპეციალისტები სწორედ ასე მოიხსენიებენ იმ ბავშვებს, რომლებიც შანტაჟის და დამცირების ქვეშ არიან. მთლიანობაში, ეს პროცესი გარდაუვლად იწვევს ბავშვის პერსონალური მონაცემების გამოყენებას, რაც განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა გახდეს თითოეული მშობლისა თუ კანონიერი წარმომადგენლისთვის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა ამჟამად არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად და დინამიურად განვითარებადი სამართლის მიმართულება, როგორც ცალკე აღებული ქვეყნების, ისე რეგიონალურ დონეზე განსაკუთრებით კი ევროპის საბჭოსა და ევროპული კავშირის სამოქმედო სივრცეში. „პერსონალურ მონაცემთა სამართლის განვითარების დინამიკა თითქმის სარკისებურად ასახავს ადამიანთა პირად ცხოვრებაში საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართულობის განუხრელ ზრდას.“[1]

ბოლო წლებში საქართველოში ეს საკითხი აქტუალურად განიხილება. 2011 წელს დიდი ნაბიჯი გადაიდგა სახელმწიფოს მხრიდან, როდესაც პარლამენტმა მიიღო პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, იგი იმ დროისთვის ქართულ კანონმდებლობაში წარმოადგენდა სიახლეს. ამასთან, 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, კონსტიტუციის მე-15 მუხლით არის გაფართოვდა პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცის კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება. რაც შეეხება ინტერნეტზე წვდომის უფლებას, იგი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით არის უზრუნველყოფილი.

---

[1] კონტანტინე კორკელიას რედაქტორობით-ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო სტატიათა კრებული, გიორგი ჯოხაძის სტატია პერსონალურ მონაცემთა დაცვა ადამიანის უფლებათა კონტექსტში საქართველოს მაგალითი გამოწვევები და ტენდენციები თბილისი 2011, 327

პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს კანონით გათვალისწინებულ ყველა პრინციპს, კერძოდ: მოქალაქემ უნდა იცოდეს, როდის იქნება მის პირად ცხოვრებაში ჩარევა ლეგიტიმური, რა უფლებები აქვს მას და რა გზით დაიცავს საკუთარ პირად მონაცემებს, რათა მათი დამუშავების დროს არ მოხდეს პერსონალური მონაცემების პრინციპების დარღვევა. აუცილებელია იმ პირთა უფლებების შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესება და დაცვა ვისი პერსონალური მონაცემებიც არის დამუშავებული, ახლა მუშავდება ან მომავალში დამუშავდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს არასრულწლოვნების მიერ ინტერნეტის გამოყენების საკითხი. თანამედროვე რეალობაში ბავშვები უფრო იყენებენ ონლაინ რესურსებს, ვიდრე მათი მშობლები, თუმცა, ხშირად, ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ მონაცემთა გამჟღავნებასთან და თაღლითურ სქემებთან დაკავშირებულ საფრთხეებს.“[2] მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოციალურმა ქსელმა ბავშვებთან ერთად შესაძლებელია საფრთხე მათ მშობლებსაც შეუქმნას, რადგან ეს არის სისტემა რომელმაც ასაკი არ იცის და შესაძლებელია ნებისმიერი ადამიანი გახდეს მსხვერპლი.

თითოეული სახელმწიფო ყურადღებით უნდა მოეკიდოს ბავშვთა უფლებების დაცვას განსაკუთრებით ინტერნეტსივრცეში, ვინაიდან მათაც აქვთ პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება. თუ ხელისუფლება და ასევე ამ დარგის სპეციალისტები შესაძლებლობათა მაქსიმუმს განახორციელებენ ბავშვთა უფლებების დასაცავად, მაშინ მათი უფლებების დარღვევის ალბათობა არ იქნება მაღალი.

როდესაც საუბარია ადამიანის უფლებების დაცვაზე არ უნდა დაგვავიწყდეს ცალკე გამოიყოს ბავშვთა უფლებები, რადგან მათ უფრო მეტი ყურადღება სჭირდებათ, რისთვისაც მსოფლიომ არაერთი ნაბიჯი გადადგა ბავშვთა უფლებების შესახებ სხვადასხვა დოკუმენტის მიღებით. აქედან აღსანიშნავია

[2] პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის რეკომენდაციები ინტერნეტ სივრცეში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ გვ 10

1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა.

დღეს აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა თუ რა გავლენას ახდენს ციფრული ტექნოლოგიები ბავშვების ცხოვრებაზე, რა საფრთხეს და შესაძლებლობებს შეიცვას ინტერნეტი რა უნდა ვიცოდეთ რომ დავიცვათ ბავშვები ეს საკითხები ძალზედ აქტუალურია. „ისევე როგორც რეალურ სამყაროში, ვირტუალურ სივრცეშიც ადამიანებს აქვთ უფლებები და მოვალეობები, როდესაც ინტერნეტ მომხმარებელი რეგისტრირდება ვებგვერდზე, იძენს პროდუქტს ან იღებს გარკვეულ მომსახურებას, ის კონტაქტს ამყარებს ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელთან და აქვს საშუალება, იზრუნოს საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვაზე და პირადი ინფორმაციის გამჟღავნების ან უკანონო დამუშავების შემთხვევაში, გამოიყენოს სამართლებრივი მექანიზმები დარღვეული უფლების აღსადგენად.“[3]

ქართულ რეალობაში ასევე გამოწვევაა ის, რომ ხშირ შემთხვევაში მოქალაქეები არ არიან ინფორმირებულები თუ როგორ ხდება მათი უფლეების დაცვა, რაც ასევე შეიძლება კანონმდებლობის ხარვეზად ჩაითვალოს, რადგან არ არსებობს ის სპეციალური მიდგომა, რომლის საშუალებითაც მოხდება მათი ინფორმირება სრულად. ასევე, პრობლემად ითვლება პერსონალური მონაცემების შესახებ არსებული მწირი პრაქტიკა, რაც გამოწვეულია მისი სიახლიდან გამომდარე.

ნაშრომის მიზანია, განიხილოს ბავშვთა პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხი ინტერნეტსივრცეში და მასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: ინტერნეტსივრცეში დაცვის მხრივ არსებული პრობლემების წინა პლანზე წამოწევა, მისი შეფასება და აქედან მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზება, რომელიც გააჩნია ინტერნეტს და

[3] პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის რეკომენდაციები ინტერნეტ სივრცეში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ გვ 2

სოციალურ ქსელებს. ამ პროცესში დამმუშავებლის, უფლებამოსილი პირის, მშობლის და სახელმწიფოს მნიშვნელობა. ინტერნეტში პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით რეკომენდაციების შეთავაზება, რომელიც სახელმწიფოს დაეხმარება ამ პრობლემის მოგვარებაში.

კვლევა მოიცავს, ძირითადად ქართულ და ევროპულ მიდგომებს. განხილულია ქართული და უცხოური ლიტერატურა, სტატიები და ვებ-გვერდები, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებები, როგორც ქართული ასევე უცხოური პრაქტიკიდან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებები ქართული პრაქტიკიდან.

ლიტერატურის მიმოხილვა

2012 წლის 1 მაისს ამოქმედებულმა კანონმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ამ სფეროს განვითარებას ჩაუყარა საფუძველი. ამ კანონს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფონზე რომ საქართველო ევროპისკენ მიისწრაფვის.

პერსონალურ მონაცემების დაცვას ევროპაში დიდ ყურადღებას უთმობენ, რაც მათ მიერ არაერთი დოკუმენტის მიღებით დასტურდება. პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას, ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციიის სხვადასხვა მუხლები განხილულია ნაშრომში. პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით უახლესი და მნიშვნელოვანი დოკუმენტი პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის და ასეთი მონაცემების თავისუფლი მიმოცვლის შესახებ რომელიც ძალაში 2018 წლის მაისიდან შევიდა სადაც მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას, მონაცემთა სუბიექტის თანხმობას სადაც წინა პლანზეა წამოწეული და დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვის მიერ გაცემულ თანხმობას, რისთვისაც ასაკია დაწესებული.

ევროკავშირის მიერ ამ სფეროში შემოღებული სხვადასხვა დოკუმენტები და სტანდარტები თარგმნა კახაბერ გოშაძემ სახელმძღვანელოში მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი და იგი გამოცემულია 2015 წელს. სადაც განხილულია სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებები ევროკავშირის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები, რომელიც შეეხება პერსონალურ მონაცემებს. ასევე 2018 წელს გამოიცა მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლით განხორციელებული ცვლილებებით. ორივე წიგნში სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე ნათლად არის გადმოცემული პერსონალური მონაცემების საკითხები. ასევე გამოყენებულია კახაბერ გოშაძის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი უფლება, რომელიც გამოცემულია

2020 წელს სადაც დეტალურად არის განხილული როგორც პირადი ცხოვრების ასევე პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება.

ბავშვთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა ჯერ კიდევ წინა საუკუნეში დაიწყო და მას დიდი ყურადღება ეთმობა, რაც მათ მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს მიღებული კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ ცხადყოფს, რომელსაც ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასევე აღსანიშნავია და ნაშრომში გამოყენებულია ბავშვთა უფლებათა კოდექსი, რომელიც ქართული კანონმდებლობისთვის სიახლეს წარმოადგენს.

ნაშრომი ითვალისწინებს ბავშვის უფლებების დაცვას ინტერნეტსივრცეში, სწორედ ამ საკითხს ეხება Child Privacy in the Age of Web 2.0 and 3.0 Challenges and opportunities for policy მოცემული ნაშრომი განიხილავს ბავშვების კონფიდენციალურიბის დაცვას ინტერნეტსივრცეში და ბავშვთა ცოდნის ნაკლოვანებებს, სადაც ცდილობენ ახსნან თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვისთვის ეს საკითხები. Children and the GDPR რომელიც განიხილავს ბავშვის პირადი მონაცემების დამუშავების საფუძვლებს და ყურადღებს ამახვილებს მათ მოსაზრებებზე. ასევე ბავშვის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას თანხმობის საკითხს ეხება Application Children and the GDPR-ICO.

ასევე განხილულია შემაჯამებელი ანგარიში მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017 ბავშვები ციფრულ სამყაროში, სადაც საუბარია ბავშვების შეხედულებებზე ციფრულ სამყაროზე ასევე მათ საფრთხეებზე და ციფრულ შესაძლებლობებზე.

გამოყენებული და განხილულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიშები 2013-2014, 2014, 2015, 2016, 2017 და ასევე ინსპექტორის რეკომენდაცია ინტერნეტსივრცეში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სადაც საუბარია იმ თემებზე რომელიც დაკავშირებულია პერსონალურ მონაცემებთან, სადაც

მაგალითებით და რეალური ქეისებით არის გადმოცემული ამ სფეროში არსებული პრობლემები.

ნაშრომში კვლევის დროს ასევე განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო, სააპელაციო სასამართლოების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც საუბარია ბავშვთა უფლებებზე და მათი პერსონალური მონაცემების დაცვაზე.

ადამიანის უფლბათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე K.U. v. Finland სადაც საუბარია ონლაინ სივრცეში პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით არსებულ პრობლემებზე.

ბავშვთა უფლებების დაცვის და მათი ინტერესების გათვალისწინების საკითხს ესება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: ნ.წ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, გ.ს საქართველოს წინააღმდეგ და X ლატვიის წინააღმდეგ, სადაც ბავშვების ინტერესები მიჩნეულია უპირატესად.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია პერსონალურ მონაცემთა და ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული წიგნები, სხვადასხვა სტატიები და ნაშრომები.

I პერსონალურ მონაცემთა დაცვა როგორც ძირითადი უფლება

1.1 პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების ევოლუცია

პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება წარმოადგენს იმ უფლებათა ნაწილს, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით,[4] რომელიც პირად ცხოვრებას ადამიანის ერთ-ერთ ხელშეუხებელ უფლებად აღიარებს.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პერსონალური მონაცემების დაცვა ძალზედ აქტუალური უფლებებია, როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების დონეზე.[5] ამ უფლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოშიც, რამდენადაც ნაბიჯები გადაიდგა ამ სფეროს განვითარებისთვის. ამ სფეროში საქართველო ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილეა და ეს ხელშეკრულებები წარმოადგენს ქართული კანონმდებლობის ნაწილს. იგი იმ არაერთ ევროპულ ქვეყნას შორის არის, სადაც მოქმედებს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, რომელიც 2011 წელს იქნა მიღებული.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პრინციპები და დებულებები განსაზღვრავს წესებს, რომელიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.[6] ამავე კანონის პირველი მუხლი განგვიმარტავს თუ რა მიზანი გააჩნია მას, ეს არის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

---

[4] კახაბერ გოშაძე- მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი თბილისი 2015. გვ 19

[5] საგინაშვილი ნ, პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით 2015. 166

[6] ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტირების საქმიანობის შესახებ 2015. გვ 45

2011 წლამდე პერსონალურ (პირად) ინფორმაციასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდებოდა საქართველოს ზოგადი ადმონისტრაციული კოდექსით.[7] საერთაშორისო ხელშეკრულებებმა და ტექნოლოგიურმა განვითარებამ ქვეყანა დააყენა რეალობის წინაშე, სადაც აუცილებელი გახდა ამ სფეროს დასარეგულირებლად ცალკე კანონის მიღება.

პერსონალური მონაცემების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს 108 კონვენცია,[8] რომელიც არის პირველი საერთაშორისო აქტი, იგი მიღებულია 1981 წლის 28 იანვარს. ამ სფეროში მისი დანიშნულება ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან მასში პირველად არის ასახული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები, მისი რატიფიცირება შესაძლებელია ევროპის საბჭოს არაწევრი ქვეყნებისთვისაც.[9] კონვენციის მიზანია დაიცვას თითოეული მოქალაქე მისი ეროვნების და საცხოვრებლის მიუხედავად, როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორში. კონვენცია ყურადღებას ამახვილებს მონაცემთა სუბუექტის უფლებებზე და იგი მას სხვადასხვა უფლებას ანიჭებს მაგალითად როგორიცაა მონაცემების წაშლის და მისი გასწორების მოთხოვნა.[10] 108-ე კონვენციას თან ახლავს დამატებითი ოქმი, რომელიც 2001 წლიდან ფუნქციონირებს, იგი არეგულირებს პერსონალური მონაცემების საერთაშორისო გადაცემას ევროპის საბჭოს საზღვრებს გარეთ.

რაც შეეხება ევროპულ კავშირს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ევროპული კავშირის მთავარი სამართლებრივი დუკუმენტი 23 წლის მანძილზე (1995-2018) იყო 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივა 95/46/EC. მისი მიღების მიზანი იყო შიდასახელმწიფოებრივ დონეზე მონაცემთა დაცვის

---

[7] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 44 მუხლი

[8] პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას, ფიზიკური პირების დაცვის შესახებ

[9] გოშაძე. კ პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები თბილისი 2017 წ. გვ 30

[10] პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას, ფიზიკური პირების დაცვის შესახებ მე-9 მუხლი

ჰარმონიზაცია.[11] დირექტივა აწესებს მკაცრ შეზღუდვებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებაში ჩარევისას, იგი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს შექმნას ისეთი სახელმწიფო სტრუქტურები, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სახელმწიფოს მიერ მიღებულ და რატიფიცირებულ კანონმდებლობის დაცვაზე. დირექტივა იცავს როგორც ავტომატიზებულ ასევე არაავტომატური საშუალებებით დამუშავებისას.[12] ეს დირექტივა 2018 წლის 25 მაისიდან ძალადაკარგულია, რამდენადაც ევროპულ კავშირში ამ თარიღიდან ძალაში შევიდა მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია (GDPR). რეგულაცია მის წინამორბედ კანონებთა შედარებით უფრო დახვეწილი არის და მეტ ყურადღებას ამახვილებს სუბიექტებზე, მისი მიზანია მონაცემთა სუბიექტებმა უკეთ შეძლონ მათი მონაცემების კონტროლი, რისთვისაც საჭიროა ინფორმაცია მიწოდებული იყოს მათთვის გასაგებ ენაზე, სუბიექტს აქვს უფლება იცოდეს პერსონალური მონაცემების გამჟღავნების შესახებ. თუ არსებობს ასეთი შემთხვევა, ამის შესახებ ინფორმირება უნდა განახორციელოს მონაცემთთა დამმუშავებელმა.

პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით ევროკავშირი მკაცრ კონტროლს ანხორციელებს, მაგრამ დიდი როლი მაინც სახელმწიფოებს ენიჭებათ თუ რა პოლიტიკა და მიდგომები ექნება თითოეულს ამ სფეროში.

1.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებით დაცული სფერო და ჩარევის ფარგლები

თანამედროვე ეპოქაში პერსონალური მონაცემების დაცვა აქტუალური გახდა, რაც ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო კომპლექსური ხდება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი პირველად გერმანიაში 1970 წელს მიიღეს, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსტიტუტი

[11] გოშაძე კ. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი თბილისი 2015. გვ 24
[12] ოქრუაშვილი მ. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. თავისუფლების ინსტიტუი 2005. გვ 39

პირველმა 1973 წელს შვედეთმა აამოქმედა, 1977 წელს გერმანიამ, ხოლო 1978 წელს საფრანგეთმა.[13] ეს სფერო ყოველდღიურად ვითარდება და ყველა დემოკრატიული სახელმწიფო ცდილობს ეს საკითხი დაარეგულიროს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

რა არის პერსონალური მონაცემები და რას მოიცავს იგი, ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით იგი არის ინფორმაცია რომლის საშუალებითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება.[14] პერსონალური მონაცემების დაცვა მოიცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, იგი Privacy-ის კვლევის წყაროა, რომელსაც საფუძვლად უდევს გაზეთში გამოქვეყნებული ქორწილის დეტალები, რა დროსაც იურისტები დაფიქრდნენ თუ რა დოზით უნდა მოხდეს ჟურნალისტების ჩარევა პირად ცხოვრებაში, ამ საკითხმა სზოგადოებაში დიდი პოპულარობა მოიპოვა.[15]

მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია პერსონალურ მონაცემებს გამნარტავს, როგორც ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირებთან, რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელია მოხდეს მისი სახელით და სხვა.[16] საქართველო სხვა სახელმწიფოების მსგავსად ცდილობს დაიცვას მისი მოქალაქეები და არამარტო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არამედ აქ მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც და ამის საფუძველზე იგი ქმნის პერსონალურ მონაცემთა დაცვას ევროპული მოდელის სტანდარტების მიხედვით.

პერსონალურ მონაცემებს განმარტავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც პერსონალური მონაცემები არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება

---

[13] გოშაძე. კ პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების კონსტიტუციურ სამართლებრივი გარანტიები 2017 წ გვ 94

[14] გუგავა. ნ განსაკუთრებული კატეგორიების პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები საქართველოს საჯარო სექტორში და საერთაშორისო გამოცდილება 2017 წ გვ 34

[15] წერეთწლი. მ პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი მნიშვნელობა და სტანდარტები ბიზნეს ურთიერთობებში 2019 წ გვ 7-8

[16] გოშაძე. კ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი უფლება 2020 წ გვ 44-45

იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს და მათი იდენტიფიცირება შესაძლებელია პირდაპირ და არაპირდაპირ.[17] პერსონალური მონაცემების დაცვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ნაწილია იგი არის დახურული სივრცე თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ან თუ მონაცემთა სუბიექტი არ გაასაჯაროვებს მას.[18]

პერსონალური მონაცემები სხვადასხვა სახის ინფორმაციას მოიცავს, მაგალითად მათ პირადი და ოჯახური ცხოვრების შესახებ ასევე მათ სხვადასხვა აქტივობებს.[19] პერსონალურ მონაცემებს მოიხსენიებენ როგორც საკუთრების უფლებას.[20] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემის უფლების ნაწილია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მუხლი აერთიანებს ადამიანის ოთხ ძირითად უფლებას, რომელიც ეხება ყველა ასაკის ადამიანს. სასამართლო ასევე აღნიშნავს რომ პირადი ცხოვრება შეიძლება მოიცავდეს პროფესიულ საქმიანობასაც.[21]

საქმეში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ ამ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა რომ პირადი ცხოვრების დაცვა არ არის აბსოლიტური უფლებაა[22] და მასში ჩარევა გამართლებულია ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან ეს ქვედება არ არის შეუზღუდავი, რადგან

---

[17] პერსონალურ მონაცემტა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 (ა)

[18] თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ო.ს მთავარი პროკურატურა, სამცხე ჯავახეთის საოლქო პროკურატურის წინააღმდეგ 26/04/2016 N3ბ/1059-15

[19] გოშაძე. კ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი უფლება 2020 წ გვ 50

[20] ჯოხაძე. გ პერსონალურ მონაცემთა დცვა, ადამიანის უფლებათა კონტექსტში საქართველოს მაგალითი გამოწვევები და ტენდენციები გვ 329 კორკელია.კ რედაქტორობით

[21] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბარბულესკუ რუმინეთის წინააღმდეგ 2017 61496/08 (61)

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 24/10/2012 N1/2/519 (8)

დაუშვებელია პერსონალური მონაცემების სხვა მიზნებისთვის დამუშავება, რადგან სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირადი ცხოვრების დაცვას.

სახელმწიფოს მიერ მიღებული არაერთი კანონით დაცული თავისუფლება შეუზღუდავი არ არის, იგი შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში თუ ირღვევა სხვისი ინტერესები.[23]

მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებში ჩარევის განსაზღვრა თუ რა დროს და რა დოზით უნდა მოხდეს ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციის მეორე თავით დაცულ უფლებებში.[24] კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებში ჩარევა შესაძლებელია მოსამართლის ბრძანების ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობით.[25]

1.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედი ძირითადი პრინციპები და წესები

პერსონალური მონცემების დაცვას მისი პრინციპების და საფუძვლების დაცვა განაპირობებს. რეგულაცია და ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს მონაცემთა დამუშავების პრინციპებს და წესებს,[26] რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს მონაცემების დამუშავება. იგი უნდა განხორციელდეს ხუთი ძირითადი პრინციპის საფუძველზე, კერძოდ:

- კანონიერება, სამართლიანობა და ღირსების დაცვა
- მიზნობრიობა;
- პროპორციულობა;
- სისწორე და სიზუსტე;
- ვადიანობა.

---

[23]ბიჭია მ. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილის 2012. გვ 52

[24] საქართველოს დემოკრადიული ინიციატივა, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება საქართველოში 2014 გვ. 8

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 29/02/2012 N2/1/484 (17)

[26] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, რომ მონაცემები უნდა დამუშავდეს მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისთვის.[27] მაგრამ რა შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ მიზნად ეს არ არის განმარტებული კანონში.[28]

კანონიერი დამუშავებისას საჭიროა სუბიექტის თანხმობა, მისი თანხმობის გარეშე დამუშავება ჩაითვლება არაკანონიერად. მონაცემების დამუშავება კანონიერად რომ ჩაითვალოს საჭიროა, როგორც ქვეყანაში არსებული ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინებით მოხდეს მისი დამუშავება. დამუშავების დროს აუცილებელია მას გააჩნდეს სამართლებრივი საფუძვლები. თუ მონაცემები მუშავდება საფუძვლის გარეშე მონაცემების დამუშავება არაკანონიერად ჩაითვლება.

მონაცემები უნდა შეგროვდეს და დამუშავდეს მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისათვის.[29] როდესაც ხორციელდება მონაცემების დამუშავება არ აქვს მნიშვნელობა დამმუშავებელი საჯარო თუ კერძი სექტორია დამუშავების მიზანი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, ასევე თუ განხორციელდება მონაცემების სხვა მიზნებისთვის გამოყენება მაშინ საჭიროა არსებობდეს სამართლებრივი საფუძვლები.[30]

საქართველოში მონაცემების დამუშავების დროს დიდ პრობლემას წარმოადგენს მიზნის არარსებობა. მონაცემების დამუშავების დროს დამმუშავებელს და უფლებამოსილ პირს ხშირ შემთხვევასი არ აქვთ განსაზღვრული მონაცემების დამუშავების კანონიერი მიზანი. ასევე ხშირია შემთხვევები როდესაც მონაცემები დამუშავებულია მიზნის საფუძველზე,

---

[27] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი (ბ)

[28] ჯგერენეია. ლ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები 2015წ გვ. 10

[29] პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ GDPR მე-5 (1) (ბ)

[30] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო 2018წ გვ. 140

მაგრამ მისი გამოყენება ხდება უკვე სხვა მიზნებისთვისაც.[31] ეს პრობლემა როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორშია.

შესაბამისობის პრინციპში მოიაზრება რომ დამუშავებული ინფორმაცია გამოყენებული უნდა იქნეს, მხოლოდ იმ მიზნებისთვის რისთვისაც იგი დამუშავდება, მისი სხვა დამმუშავებლისთვის გადაცემა და სხვა მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელი და არაკანონიერია. მონაცემთა სუბიექტს უნდა გააჩნდეს გარანტია, რომ მისი მონაცემები დამუშავებული იქნება მხოლოდ მიზნის საფუძველზე, მაგრამ პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მონაცემთა სუბიექტები არ არიან ინფორმირებულები თუ რა მიზნით მუშავდება მათი პირადი მონაცემები და ხდება მათი არამიზნობრივი და დიდი მოცულობით დამუშავება.[32] მაგალითად საჯარო სექტორში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი კომპანიის მიერ დამუშავებული მონაცემების დუბლირება ხდება სხვა კომპანიაში, რომელიც უკვე სხვა მიზნებისთვის იყენებს მას.[33]

მონაცემთა სიზუსტე აუცილებელია, როდესაც მუშადება პერსონალური მონაცემები რათა არ მოხდეს სუბიექტის მიმართ მცდარი ინფორმაციის დამუშავება. ამ დროს დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება როგორც დამმუშავებელს ასევე უფლებამოსილ პირს, რათა ის ახდენს ამ ინფორმაციის მოძიებას დამუშავებას.

მონაცემთა სიზუსტე მოიცავს არსებული მონაცემების განახლებას, მაგალითად სუბიექტი, რომლის მონაცემებიც დამუშავებულია უკვე და იგი შეიცვლის სახელს და გვარს ამ შემთხვევაში მას აქვს უფლება მიმართოს დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს და მოითხოვოს მონაცემების

---

[31] ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახე 2015წ გვ 9

[32] ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2016 გვ 11

[33] ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2015 გვ 9

განახლება. ასევე არსებობს ისეთი მონაცემები რომლის კანახლებაც კანონით აკრძალულია ეს არის სამედიცინო ოპერაციების ჩანაწერები.[34]

პრინციპებს შორის ყველაზე აქტუალური მონაცემთა დაცვაა იმ ვადის განმავლობაში რაც საჭიროა იმ მიზნის მისაღწევად რისთვისაც არის მონაცემები დამუშავებული. იგი დაცული უნდა იქნეს მესამე პირების ჩარევისგან. მონაცემები შენახული უნდა იქნეს ფაილური სისტემით, რომლის დაცვისთვისაც შესაბამისი ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული დამმუშავებლის მხრიდან.[35] მონაცემების დაცვის დროს მნიშვნელობა არ აქვს თუ რა სისტემით არის დამუშავებული იგი ავტომატური, ნახევრადავტომატური თუ არაავტომატური საშუალებებით, ამიტომ დამმუშავებელმა უნდა მოახდინოს მისი დაცვა ისე, როგორც ქართული ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა ავალდებულებს. თუ პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი უკვე აღარ არსებოს მაშინ დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემები დაბლოკოს წაშალოს ან გაანადგუროს, რათა მონაცემთა დაცვის სუბიექტი დაცული უნდა იყოს მისი ინფორმაციის გასაჯაროვებისგან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს.[36] პერსონალური მონაცემების ნებისმიერი სახით დამუშავება უნდა იყოს კანონიერი, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებს. როდესაც მუშავდება პერსონალური მონაცემები, როგორც დამმუშავბელი ასევე უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაიცვას კანონით გათვალისწინებული პრინციპები და საფუძვლები. მონაცემების დამუშავება არ ჩაითვლება კანონიერად თუ არ არის

---

[34] ლაფანაშვილი. ი პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის სამართლებრივი მოწესრიგება ქართულ და ევროპული სტანდარტების მიხედვით 2018 წ გვ. 22

[35] კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ მე-7 მუხლი

[36] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი

დაცული პრინციპები და თუ არ არსებობს განსაზღვრული საფუძვლები. ეს ორი საკითხი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. კანონი ადგენს დამუშავების სხვდასხვა საფუძვლებს მიუხედავად იმის თუ რა საფუძვლით მუშავდება მონაცემები აუცილებელია პრინციპების დაცვა.

II ბავშვის პერსონალური მონაცემების დამუშავება ინტერნეტში და პროცესში მონაწილე პირთა უფლებამოვალეობები.

2.1 ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიწყო ადამიანის უფლებებზე ზრუნვა, რის შემდეგაც ცალკე გამოიყო ბავშვთა უფლებები ამის ნათელი მაგალითია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული 1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელსაც არაერთმა ქვეყანამ მოაწერა ხელი. ამ კონვენციას საქართველო 1998 წელს შეუერთდა. კონვენციის მიხედვით ყველა ბავშვი თანასწორია, მისი წარმომავლობის რელიგიის მიუხედავად, მათ უნდა მიეცეთ უფლება საზოგადოებაში თავის დამკვიდრებისთვის. ამ საკითხზე ასევე ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სადაც ხაზგასმულია რომ ბავშვებს სჭირდებათ განსაკუთრებული ყურადღება.

ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკს მიუღწეველი ნებისმიერი ფიზიკური პირი.[37] საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სრულწლოვანი 18 წლიდან არის რომელსაც ენიჭება ყველანაირი უფლება.[38] 18 წლამდე ასაკის ადამიანი შეიძლება მოვიხსენიოთ არასრულწლოვან ბავშვად, ხოლო 10 დან 18 წლამდე მოზარდ ბავშვად.[39] მათი პერსონალური მონაცემების დამუშავება და მესამე პირზე გადაცემა, როდესაც არსებობს მშობლის თანხმობა მაშინაც კი არაპროპორციულია, რადგან ბავშვის ინტერესები უფრო მაღალია ვიდრე მშობლის.

---

[37] ბავშვთა უფლებათა კონვენცია 1 მუხლი
[38] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მე-12 მუხლი
[39] საქართველოს ბავშვთა უფლებათა კოდექსი 3 (ა,ბ)

ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოები აღიარებენ და იცავენ ადამიანის უფლებებს, რომელიც ინტერნეტმომხმარებლებზეც ვრცელდება, იგი ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას მათი უფლებები.

21-ე საუკუნეში ინფორმაციის ნაკადი დიდია, რაც ინტერნეტის სარგებლობით არის გამოწვეული. მასში მსოფლიო მოსახლეობის ყველა ასაკის ადამიანია ჩართული, ასევე, ბავშვები. ინტერნეტი არის ის საშუალება, რომლითაც სახლიდან გაუსვლელად შესაძლებელია იყო საზოგადოების წევრი, იგი არის კომუნიკაციის განსაკუთრებული საშუალება, რომლის მეშვეობითაც თავისუფალი აზრის და იდეების გამოხატვაა შესაძლებელია, მაგრამ ამასთან ერთად წარმოშობს არაერთ პრობლემას განსაკუთრებით პერსონალური მონაცემების კუთხით.[40] რომელზეც საზოგადოების ნაწილი ინფორმირებული არ არის, ამიტომ იგი უხილავ საფრთხედ არის მოხსენიებული.

ტექნოლოგიების ყოველდღიური განვითარება ადამიანს საშუალებას აძლევს შეასრულოს უფრო მეტი მოქმედება ინტერნეტით ვიდრე მას ადრე შეეძლო. ამის საფუძველზე მსოფლიო არაერთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა განსაკუთრებით ეს ეხება პერსონალურ მონაცემებების დაცვის სფეროს.[41] ამ გამოწვევებიდან გამოდინარე მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია, რომელიც 2018 წლის 25 მაისს შევიდა ძალაში დიდ ყურადღებას აქცევს მონაცემების დაცვას და კანსაკუთრებით ბავშვთა უფლებების დაცვას ინტერნეტსივრცეში.

GDPR დიდ ყურადღებას უთმობს კონფიდეციალურობის დაცვას პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს. იგი ასევე განსაზღვრავს არასრულწლოვნის თანხმობის პირობებს ელექტრონული მომსახურების დროს

---

[40] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე კ.უ ფინეთის წინააღმდეგ 02/12/2008 N2872/02 (34)

[41] პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ მე-6 მუხლი

სადაც დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვის უფლებამოსილებას თანხმობაზე და თუ მას ამის უფლება არ აქვს მშობლის თანხმობას. ასევე GDPR დამმუშავებელს აკისრებს ვალდებულებას, რათა მან მიიღოს ზომები, რომლითაც მოხდება განსაზღვრა თანხმობა მიღებულია თუ არა მშობლის უფლებამოსილების მქონე პირისგან.[42]

ბავშვების ღირსება და თავისუფლება დამოკიდებულია მათი მონაცემების დაცვის კონფიდენციალურობაზე, რომელიც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კომფიდენციალურობა სამი კონტექსტით გამოიყოფა.

▪ ინტერპერსონალური თუ როგორ ხდება მონაცემების შექმნა დამუშავება წვდომა და გამრავლება.

▪ ინსტიტუციური ბავშვების მონაცემები მუშავდება დაბადებისთანავე და სახელმწიფო უწყებებში გროვდება.

▪ კომერციული როგორ ხდება ბიზნესში პერსონალური მონაცემების გამოყენება, რომლებიც დიდი რაოდენობით მონაცემებს აგროვებენ.

რა მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის კონფიდენციალურობის დაცვას ონლაინ სივრცეში. ინტერნეტში კონფიდენციალურობის რამდენიმე გამოწვევაა, რომელიც დააზარალა ინტერნეტსივრცემ.[43]

ბავშვები არიან ის ინდივიდები, რომელთაც უნდა გააგრძელონ ცხოვრება, რისთვისაც საჭიროა მათი უფლებების დაცვა პატარა ასაკიდანვე. ისინი საზოგადოების წევრთაგან ყველაზე დაუცველ ფენას წარმოადგენენ, რადგან ვერ აღიქვამენ თუ რა რისკებთან აქვთ შეხება, ასევე მათ არ აქვთ საკმარისი ძალა და ცოდნა დაიცვან საკუთარი თავი სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებებით. მათ განვითარებაში მშობელთან ერთად დიდი როლი სახელმწიფოსაც აკისრია, რადგან მან უნდა განახორციელოს ისეთი

[42] პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ GDPR მე-8

[43] Livingstone S, Stoilova M, Nandagiri R, Children's data and privacy online Grouvind up in a digital age 2018 წელი გვ. 12

ღონისძიებები და შექმნას ისეთი გარემო, სადაც ბავშვის უფლებები დაცული იქნება. სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს მათ უფლებებს, რომელიც როგორც საერთაშორისო ასევე შიდა კანონიმდებლობით აქვთ მინიჭებული.

სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს.[44] დემოკრატიულ ქვეყნებში ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვას დიდი ყურადღება ექცევა, მათ შორის საქართველოშიც, ამიტომ მათი მონაცემების დამუშავება უნდა განხორციელდეს მხოლოდ საქართვეელოს კანონმდებლობის შესაბამისად.[45] მონაცემთა ყველა სუბიექტს ასაკის და სქესის მიუხედავად აქვთ უფლება დაცული იყოს მათი პირადი ცხოვრება. სახელმწიფომ ბავშვებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია თუ რა საფრთხეებს შეიცავს ინტერნეტსივრცე. პერსონალური მონაცემების პატივისცემა მიზნად ისახავს თავიდან იქნეს აცილებული ის შედეგები, რომელიც მათმა გამჟღავნებამ შეიძლება გამოიწვიოს.

დაუშვებელია ბავშვების პერსონალური მონაცემების გამჟღავნება, რომლებიც მონაწილეობენ სასამართლო პროცესებში ან მის მიმართ ხორციელდება ადმინისტრაციული წარმოება, ასევე დაუშვებელია ბავშვის მიმართ დისწიპლინური ზომის, ბავშვის ჯამრთელობის მდგომარეობის, მის მიერ ჩადენილი ძალადობის და სხვა მსგავსი ინფორმაციის გასაჯაროვება.[46] ეს ეხებათ ასევე მედია საშუალებებს, რომლებიც აშუქებენ მსგავს საქმეებს. მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ სისხლის სამართლის საქმეები, სადაც ბრალდებულები არასრულწლოვნები არიან, ასეთ შემთხვევაში სასამართლო სხდომები არის დახურული, რათა არ მოხდეს ბრალდებულებზე ზეწოლა,

[44] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 29/02/2012 N2/1/484 (16)
[45] ბავშვთა უფლებათა კოდექსი 71 (3)
[46] ბავშვთა უფლებათა კოდექსი 71 (1) (2)

როგორც იქ დამსწრე საზოგადოებისგან ასევე უცხო პირებისგანაც, როდესაც მოხდება მათი მედიის საშუალებით გაშუქება.[47]

ტელევიზიით არაერთხელ გვინახავს ბავშვებზე მომზადებული რეპორტაჟები, რომელიც მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებზეა საუბარი, რა დროსაც მათი სახელი და გვარები ინიციალებითაა გადმოცემული, ასევე თუ ხდება მათი გადაღება ყოველთვის რეპორტაჟის დროს სახეებია დაფარული, რათა არ მოხდეს მათი იდენტიფიცირება, რის შემდეგაც იგი შეიძლება არაერთი ქმედების მსხვერპლი გახდეს. ჟურნალისტი ვალდებულია დაიცვას ბავშვის უფლებები და უპირატესობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს.[48]

ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი.[49] ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლება.[50] რის საშუალებასაც იძლევა ინტერნეტი ანუ მისი საშუალებით შესაძლებელია მიიღოს და გაავრცელოს ის ინფორმაცია რაც მას სურს საზღვრების გარეშე, როდესაც ბავშვს ეძლევა საშუალება ისარგებლოს ინტერნეტით იგი უნდა იყოს დაცული.[51] მათ უფლება აქვთ გამოხატონ აზრი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ბავშვს ამ შეთხვევაში წარმოდგენაც არ აქვს თუ რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს მათ.[52] მისი პერსონალური მონაცემების დაცვა ძალზედ მნიშვნრლოვანია, რადგან იგი არ გახდეს არაერთი დანაშაულის მსხვერპლი, რომელიც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს როგორც გოგოებში ასევე ბიჭებში.

---

[47] ხარებაშვილი. ვ. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპი და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. 2019წ გვ 18-19

[48] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია მე-8 მუხლი.

[49] კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ მე-13 (1)

[50] საქართველოს ბავშვთა უფლებათა კოდექსი მე-6 (1)

[51] ინტერნეტ მომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო გვ 9 sasamartlos%20saiti/CoE%20Guide%20to%20Human%20Rights%20for%20Internet%20Users%20(in%20Georgian).pdf.pdf

[52] Mario Viola de AzevedoCunha-Child Privacy in the Age of web 2.0 and 3.0: Challenges and opportunities for policy 2017 გვ. 7

2015 წელს იმ პროგრამებზე ჩატარებულმა კვლევამ, რომელსაც ბავშვები იყენებენ არ აღმოაჩნდათ დამცავი სისტემა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვა, ასევე აღსანიშნავია რომ მოზრდილმა ბავშვებმა არ იციან თუ როგორ უნდა მოხდეს მათი პირადი მონაცემების უკანონოდ დამუშავების თავიდან აცილება.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფოები ცდილობენ ისეთი მექანიზმების შექმნას, რომლითაც დაცული იქნება ინტერნეტ მომხმარებელი, მაგრამ სამწუხაროდ ამ მომენტისთვის შეგვიძლია ვთქვათ რომ ამ მცდელობების მიუხედავად მაინც არსებობს ხარვეზები, რომელსაც დამნაშავეები თავიანთ სასიკეთოდ იყენებენ.

2.2 ბავშვის პირადი ცხოვრების დაცვა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება

ყველა სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ბავშვის უფლებების დაცვას. ამასთან, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ქმედებებში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მათი საუკეთესო ინტერესების დაცვას, სწორედ ამ საკითხს ეხება ბავშვის უფლებათა კონვენცია.

როგორც რეალურ გარემოში ასევე ციფრულ სამყაროშიც ბავშვებს გააჩნიათ უფლებები, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. პირადი ცხოვრების დაცვაში მათაც იგივე უფლებები გააჩნიათ რაც სრულწლოვან ადამიანებს, მათ ეს უფლება დაბადებისთანავე აქვთ მინიჭებული. როდესაც ხდება მათი პერსონალური მონაცემების დამუშავება ისინიც მონაცემთა დამუშავების სუბიექტები არიან.

ყველა ადამიანი მათ შორის ბავშვიც იმსახურებს პირადი ცხოვრების დაცვას, რაც აუცილებელია მათი საზოგადოებაში დამკვიდრებისთვის და იმისთვის, რათა ისინი არ გახდნენ დანაშაულის მსხვერპლნი. ბავშვის დამოუკიდებლობა და მათი პირადი ცხორების დაცვა ერთ-ერთი მთავარი

გამოწვევაა. GDPR ახალი რეგულაცია აღნიშნავს რომ ბავშვის პერსონალურ მონაცემებს დაცვა და მათ შორის პირად ცხოვრებას განსაკუთრებული დაცვა სჭირდება, რაც გამოწვეულია პერსონალური მონაცემების ონლაინ დამუშავებით. რეგულაცია აღნიშნავს, რომ საჭიროა მშობლის თანხმობა, როდესაც მუშავდება 16 წლამდე ასაკის ბავშვების პერსონალური მონაცემები,[53] რომელმაც გამოიწვია კრიტიკა და მიზეზი ამით ბავშვების უფლებების შეზღუდვა იყო, რადგან მშობლის მხრიდან მისი პირადი მონაცემების დაცვა გამოიწვევდა სხვა უფლებების შეზღუდვას ან თუ მშობელი იქნებოდა თანახმა დამუშავებულიყო ბავშვის მონაცემები ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია დაირღვევს ბავშვის უფლებები, რადგან ბავშვს არ გამოუხატავს ნება ამის შესახებ. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ბავშვებს მიაჩნიათ რომ მშობლის თანხმობა არის მის პირად ცხოვრებაში ჩარევა მით უფრო ეს ეხება ონლაინ სივრცეს.[54]

ყველა ბავშვს უნდა შეეძლოს მისი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებით სარგებლობა ინტერნეტსივრცეში.[55] მისი საშუალებით ბავშვის პირად ცხოვრებაში ჩარევა უკანონოა. მან თავისუფლად უნდა გამოხატოს თავისი აზრი ამ შემთხვევაში აუცილებელია მისი ამ უფლებების დაბალანსება, რათა არ მოხდეს მისი ერთი უფლებით მეორე უფლების დარღვევა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვიგულისხმოთ პერსონალური მონაცემები, როდესაც საქმე ეხება ბავშვის კეთილდღეობას მათი უფლებების დაცვა უფრო მეტად უნდა ხორციელდებოდეს, ბავშვებს უფლება აქვთ სახელმწიფოსგან მიიღონ გარანტიები, რომ არ მოხდეს მათ პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევა.

ყველა ბავშვის უფლებაა დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების და საცხოვრებელი სახლის ხელშეუხებლობა, რომელიც არის მისი

---

[53] პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ GDPR მე-8 (1)

[54] Child Privacy in the Age of Web 2.0 and 3.0: Challenges and opportunities for policy 2017 წ გვ.12

[55] საქართველოს კონსტიტუციის 17 (1)

პირადი სივრცე.[56] მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიშებში აღნიშნულია საცხოვრებელი სახლის ვიდეოთვალთვალი, რომელსაც უსაფრთხოების მიზნით იყენებენ მას შეუძლია დაარღვიოს სხვა ბინის მესაკუთრის პირადი ცხოვრების უფლება მათ შორის ბავშვისაც.[57] იგივე პრობლემა წარმოიშობა მაღაზიების და კერძო დაწესებულებების გარე პერიმეტრზე ვიდეოთვალთვალის დროს, როდეს ეს ობიექტები მდებარეობს საცხოვრებელ ბინებთან ახლოს. ამ დროს ირღვევა როგორც ბავშვის ასევე იქ მაცხოვრებელი მშობლის პირადი ცხოვრების უფლება. ასევე იგივე პრობლემაა სკოლებში როდესაც ბავშვების უსაფრთხოების მიზნით ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი.[58] ასეთ შემთხვევებში სახელწიფო ვალდებულია გამოიძიოს მისი საფუძველი თუ რა მიზნით და რა დოზით მოხდა მასში ჩარევა. ასევე აღსანიშნავია ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც თანამედროვე ტექნიკის საშუალებით ახორციელებს ბავშვის მონაცემების დამუშავებას, რაც ხელისუფლებას აძლევს საშუალებას შექმნას და შეინახოს ეს მოპოვებული ინფორმაცია,[59] კანონიერი საფუძვლის გარეშე, ამ შემთხვევაში ხდება მათი პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა. კონვენციის მე-8 მუხლი იცავს იმ მოქალაქეებს, რომლის პირად ცხოვრებაში მოხდა სახელმწიფოს ჩარევა, მას გააჩნია როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური უფლება, ეს ეხებათ ფიზიკურ პირებსაც, რომელთაც სხვის პირად ცხოვრებას პატივი უნდა სცენ.[60]

ინტერნეტი არის ის სივრცე სადაც დარეგისტრირება შესაძლებელია ყალბი მონაცემებით, რომლის საშუალებითაც ხდება სოციალურ ქსელებში ბავშვებთან დაკავშირება რა დროსაც ისინი ხშირად ხდებიან შევიწროვების და

---

[56] ბავშვის უფლებათა კოდექსი 9 (3)

[57] ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტირების საქმიანობის შესახებ 2017 გვ 99

[58] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში 2019 წ. გვ. 67

[59] Mario Viola de AzevedoCunha-Child Privacy in the Age of web 2.0 and 3.0: Challenges and opportunities for policy 2017 გვ 8

[60] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება კ.უ ფინეთის წინააღმდეგ 02/03/2009 N 2872/02 (42)

სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი. ბავშვის პირად ცხოვრებაში ჩარევის სერიოზულ საფრთხეს სწორედ სოციალური ქსელები წარმოადგენს, რომელსაც არაერთი ბავშვი იყენებს, მაგ. ფოტოების ატვირთა, ასევე მათ მიერ დაწერილი და გაზიარებული პოსტები, რომელიც ინტერნეტსივრცეში დიდი ხანი რჩება.

საკამათო თემაა ბავშვის რეკლამაში გადაღებით ირღვევა თუ არა ბავშვის უფლებები, ასევე მისი პირადი ცხოვრების უფლება, როდესაც მისით მანიპულირებს კომპანიები და მათ, როგორც მნიშვნელოვანი ბაზარი ისე ხედავენ, რადგან ბავშვები დიდ როლს თამაშობენ სამომხმარებლო სექტორში. ეს მათთვის დიდ რისკს შეიცავს და არღვევს ბავშვის კომფიდენციალურობას. აქ აღსანიშვანია ბავშვის ასაკი თუ რა ასაკის არის იგი ანუ ეს მოხდა ბავშვის თანხმობის საფუძველზე თუ მისი მშობლის, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს რომ მშობლის მონაწილეობა ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებში მნიშვნელოვანია, რადგან ისინი წარმოადგენენ მათ ინტერესებს არ აქვს მნიშვნელობა თუ რა ასაკის არიან ისინი.[61] მაგრამ ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს რომ შესაძლებელია არ მოხდეს მშობლის ჩართულობა თუ აღმოჩნდება რომ თავად მშობელი წარმოადგენს საფრთხეს ბავშვისთვის.[62]

ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოიცავს მის კეთილდღეობას, უსაფრთხოებას, ჯამრთელობას, განათლებას და განვითარებას.[63] მათი ინტერესები უნდა გავრცელდეს ნებისმიერ შემთხვევაში და იგი 3 კომპონენტისგან შედგება.

---

[61] პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები 2017 გვ 128

[62] პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები 2017 გვ 129

[63] ბავშვთა უფლებათა კოდექსის 3(თ)

▪ მატერიალური ინტერესები - შეფასება მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების და სხვა ინტერესების არსებობის შემთხვევაში არჩეული იქნეს უპირატესად.

▪ ფუნდამენტური ინტერესები - როდესაც დოკუმენტის რამდენიმე განმარტება არსებობს ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ის რომელიც საუკეთესოა ბავშვის ინტერესებისთვის.

▪ პროცედურული წესები - როდესაც მისაღებია რაიმე გადაწყვეტილება იგი მიღებული უნდა იქნას ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე.

ბავშვთა ინტერესები მოიცავს ბევრ სფეროს და მისი განსაზღვრა რთულია.[64] ისეთ საქმეებში სადაც ბავშვიც არის ჩართული გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოსამართლეს გადაწყვეტილება გამოაქვს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე წარდგენილი მასალების საფუძველზე. ძირითადად ეს დავები საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალთან არის დაკავშირებული, როდესაც ხდება განქორწინება და გადასაწყვეტია თუ ვისთან უნდა დარჩეს ბავშვი, სადაც მისი ინტერესების და აზრის გათვალისწინება აუცილებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე დაყრდნობით ბავშვის ინეტერესების დაცვაზე არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება აქვს მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

ამ საკითხზე საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, სადაც ბავშვის დედის გარდაცვალების შემდეგ ბავშვები დედის ოჯახში ცხოვრობდნენ, შემდეგ სასამართლომ ისინი მათ მამას მიაკუთვნა, მაგრამ ბავშვები უარს აცხადებდნენ მასთან ცხოვრებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ისე მიიღეს გადაწყვეტილებები, რომ ბავშვების ინტერესები არ

[64] ჩიკვილაშვილი შ. საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2004 წ. გვ. 248

გაუთვალისწინებით, ასევე აღნიშნავს სოციალური მომსახურების სააგენტოს შესახებ, რომელიც საქმეში ჩართული იყო, როგორც დაინტერესებული მხარე, სასამართლომ განსაზღვრა რომ ამ შემთხვევაში სოციალურ მუშაკს გადაწყვეტილება არა მარტო საცხოვრებელი პირობებით არამედ ბავშვის სურვილების მიხედვით უნდა მიეღო. მას მიაჩნია რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება.[65]

ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართა ლატვიის მოქალაქემ, რომელიც ავსტრალიაში ცხოვრობდა და შვილი ჰყავდა, ლატვიაში დაბრუნების შემდეგ ბავშვის მამამ სარჩელი შეიტანა ავსტრალიიის სასამართლოში და ლატვიის შესაბამის ორგანოებს გაეგზავნათ ეს დოკუმენტები. ლატვიამ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა ბავშვის უკან დაბრუნებაზე იმის მიუხედავად, რომ ბავშვის უკან დაბრუნება გამოიწვევდა უკიდურეს საფრთხეს ბავშვისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ბავშვის ინტერესების დარღვევა ლატვიის სასამართლოს მიერ, რომელმაც არ გაითვალისწინა დედის ნათქვამი.

მიუხედავად იმისა რომ ეს ორი საქმე შინაარსობრივად განსხვავებულია, მათი საერთო ბავშვის ინტერესებია. ადამიანის უფლებათ ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია რომ ორივე ქვეყნის სასამართლომ ბავშვის ინტერესები არ გაითვალისწინა. მან იმსჯელა ბავშვის ინტერესების დაცვაზე და მისი აზრის გათვალისწინებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს თუ რამდენად წინა პლანზეა წამოწეული ბავშვის აზრი და მისი ინტერესები.[66]

ასევე აღსანიშნავია საქმე გ.ს საქართველოს წინააღმდეგ, სადაც დავა მიმდინარეობს საქართველოს და უკრაინის მოქალაქეებს შორის, რომელთაც

---

[65] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ნ.წ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ 02.02.2016 N71776/12

[66] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება X ლატვიის წინააღმდეგ საქმე 26/11/2013 N27853/09

ერთად ცხოვრების დროს შეეძინათ ბავში. საქართველოს მოქალაქემ მეორე მშობლის თანხმობთ ბავშვი საქართველოში ჩამოიყვანა, რის შემდეგაც ბავშვი უკან აღარ დაუბრუნებია. უკრაინის მოქალაქემ სარჩელი შეიტანა სასმართლოში და მოითხოვა ბავშვის დაბრუნება მის კუთვნილ სახლში. ამ დროს ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა იყო მძიმე, რადგან იგი შეესწრო უბედურ შემთხვევას რასაც მისი და ემსხვერპლა. ამ საქმეში ადამიანის ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა რომ გადაწყვეტილების მიღებისას საოჯახო საქმეში სადაც დავა მიმდინარეობს ბავშვზე თუ რომელ მშობელთან იცხოვრებს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა და იგი ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს რომ ბავშვის უკრაინაში დაბრუნება მისთვის რისკის შემცველი იყო, მან ასევე აღნიშნა რომ ეროვნულმა სამივე ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ბავშვის ინტერესები და მოხდა პროცესების გაჭიანურება, მაშინ როდესაც როდესაც ჰააგის კონვენციის მე-2 და მე-11 მუხლების მიხედვით ბავშვის დაბრუნების შესახებ საქმე განხილული უნდა იყოს სწრაფად არაუმეტეს ექვსი კვირისა.[67] ამ სასამართლო გადაწყვეტილებიდანაც ჩანს თუ რამხელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ინტერესებს.

ამ თავიდან გამომდინარე სადაც საუბარია ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით შეგვიძლი ვთქვათ, რომ რა დავაც არ უნდა მიმდიარეობდეს სასამართლოში და იქ მონაწილეა ბავშვი ყველა სხვა საკითხი ხდება მეორე ხარისხოვანი და გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე და იგივე ქმედებისკენ მოუწოდებს ადგილობრივ ყველა ინსტანციის სასამართლოებს.

[67] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილენა საქმეზე გ.ს საქართველოს წინააღმდეგ 21/10/2015 N2361/13

2.3 ბავშვის მონაცემების დამუშავებისას დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის უფლებამოვალეობები

პერსონალური მონაცემების დამუშავებას ახორციელებს მონაცემთა დამმუშავებელი, რომელიც განსაზღვრავს დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს. საჭიროების შემთხვევაში, დამმუშავებელმა შესაძლებელია დამუშავების პროცესში ჩართოს უფლებამოსილი პირი, რომელიც მისი დავალებების საფუძველზე შეასრულებს დამუშავების შესაბამის პროცესებს. მონაცემთა დამმუშავებელი არის ის პირი, რომელიც პასუხს აგებს დამუშავებულ ინფორმაციაზე, თუმცა, პასუხისმგებლობა უფლებამოსილ პირსაც შეიძლება დაეკისროს თუ იგი გასცდება მისთვის მინიჭებულ ფარგლებს მონაცემთა დამუშავებისთვის.

პერსონალური მონაცემების დამუშავებისას კანონი განსაზღვრავს დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის უფლებამოსილებას.[68] უფლებამოსილი პირის მხრიდან დაუშვებელია უფლებამოსილების გადაცემა სხვა პირისთვის დამმუშავებლის გარეშე, ასევე დაუშვებელია დამუშავებული ინფორმაციის სხვა მიზნებისთვის გამოყენება. ეს პრობლემა ნათლად ჩანს პირდაპირი მარკეტინგის დროს, როდესაც ერთი კომპანია მეორეს გადასცემს შენს პირად ინფორმაციას რეკლამის განხორციელების მიზნით, ეს ძირითადად ეხება პირად ტელეფონის ნომრებს. ამ შემთხვევაში წარმოიშობა პრობლემა რადგან ტელეფონების ნომრების გაფორმება ხდება, მხოლოდ სრულწლოვან ადამიანებზე და კომპანია ვერ განსაზღვრავს ეს ნომერი ნამდვილად ამ პირის მფლობელობაშია თუ არა, ამიტომ შესაძლებელია ეს ნომერი იყოს ბავშვის მფლობელობაში, რომელიც მისი მშობლის სახელზეა გაფორმებული. ესეთ სიტუაციაში შესაძლებელია ამ ნომერზე გაგზავნილი სარეკლამო შეტყობინება მიუვიდეს ბავშვს და ეს რეკლამა იყოს ისეთი ხასიათის, რომელიც არ არის სასურველი რომ ნახოს ბავშვმა.

---

[68] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით დამმუშავებელი/უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის ვინაობა, მონაცემთა დამუშავების მიზანი, მოითხოვონ მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება.[69] ეს უფლებები როგორც ზრდასრულ ადამიანებს ასევე ბავშვებსაც გააჩნიათ. ეს კანონი ბავშვებზე ვრცელდება იმის გამო რომ ისინიც ჩვეულებრივი მოქალაქეები და მონაცემების დამუშავების დროს მონაცემთა სუბიექტები არიან, მაგრამ ამ კანონში ცალკე ბავშვების უფლებებზე საუბარი არცერთ მუხლში არ არის, რაც არის კანონმდებლობის ხარვეზი, რადგან როდესაც ვსაუბრობთ ბავშვის უფლებებზე მითუმეტეს მათ პირად მონაცემებზე იგი აუცილებლად უნდა იყოს ცალკე თავად გამოყოფილი. საინტერესოა თუ რა ასაკიდან აქვს ბავშვს ეს უფლებები რომ თავად შეძლოს ამ ინფორმაციის მიღება.

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროს გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის ცნობიერების ამაღლება, რადგან მათზე ბევრია დამოკიდებული მონაცემების დამუშავებას განახორციელებენ თუ არა კანონის საფუძველზე და რამდენად დაცული იქნება დამუშავებული ინფორმაცია.

როდესაც გროვდება და მუშავდება ბავშვის მონაცემები მათ განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ და უფლებამოსილი პირის მხრიდან ეს ინფორმცია ისე უნდა იქნეს შენახული რომ არ მოხდეს მისი გასაჯაროვება რა დროსაც უფლებამოსილი პირი და დამმუშავებელი ვალდებულები არიან დაიცვან ყველა ის პრინციპი რაც კანონმდებლობაში არის მითითებული და განსაკუთრებით კი სამართლიანობის.

პერსონალურ მონცემთა დაცვის ინსპექტორი თავის ერთ-ერთ ანგარიშში განიხილავს ერთ ქეის, რომლის მიხედვითაც სკოლამ ვერ შეძლო ბავშვის

[69] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 15 (1)

შესახებ ინფორმაციის დაცვა და მისი ადგილსამყოფელი ცნობილი გახდა მშობლებისთვის, რომლის მიმართაც შემაკავებელი ორდერი იყო გამოწერილი და ბავშვი სახელმწიფოს მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.[70]

GDPR-ი ცალსახად ამბობს რომ ბავშვთა პერსონალური მონაცემები სპეციალურ დაცვას ემსახურება, როდესაც მუშავდება მათი მონაცემები ისინი სარგებლობენ მონაცემების დაცვის განსაკუთრებული უფლებით, რადგან მათთვის შეიძლება ნაკლებად იყოს ცნობილი ის რისკები, შედეგები, დაცვის მექანიზმები და მათი უფლებები, რომელიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების დამუშავებას. კერძოდ: განსაკუთრებული დაცვა უნდა შეეხოს არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების გამოყენებას პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის პიროვნების ან მომხმარებლის პროფილის შექმნას და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შეგროვებას ისეთი მომსახურების გამოყენებისას, რომლის შეთავაზებაც არასრულწლოვნისთვს პირდაპირ ხდება.[71]

როდესაც ხდება ბავშვის მონაცემების დამუშავება აუცილებელია არსებობდეს დამუშავების საფუძველი, მის გარეშე მონაცემების დამუშავება არაკანონიერად ჩაითვლება. სხვადასხვა საფუძვლებს შორის ყველაზე აქტუალურია მონაცემთა სუბიექტის თანხმობაა, მაგრამ ეს საკითხი ბავშვებში უკვე პრობლემას წარმოშობს, თუ როგორ უნდა მოხდეს ბავშვისგან თანხმობის მიღება, მას გააზრებული აქვს თუ არა რაზე აძლევს თანხმობას და ასევე აქვს თუ არა მას ამის უფლება.

თანხმობა ითვლება კანონიერ საფუძვლად პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს ამ შემთხვევაში ბავშვის მონაცემების, მაგრამ ის არ არის გარანტია რომ დამუშავება ყველა შემთხვევში სწორია. GDPR განსაზღვრავს

---

[70] ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წ. გვ 37

[71] პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ GDPR 38-ე პუნქტი

დეტალებს თუ როგორ უნდა მოხდეს სწორი თანხმობის მიღება, რომელიც როგორც დამმუშავებელმა ასევე უფლებამოსილმა პირმა უნდა გაითვალისწინოს. ბავშვის მონაცემების დამუშავების დროს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს მისი კომპეტენცია, ბავშვებს აქვთ უფლება მისი თანხმობის საფუძველზე მოხდეს პერსონალური მონაცემების შეგროვება და დამუშავება, თუ მას ამის უფლება არ აქვს თანხმობა მიღებული უნდა იქნეს მშობლისგან ან მასთან გათანაბრებული პირისგან (მეურვე, მზრუნველი). მაგალითად, შოტლანდიაში თანხმობის მიღება შესაძლებელია 12 წლის ასაკის ბავშვებისგან, ხოლო თუ მათ ეს ასაკი არ შესრულებიათ მაშინ ბავშვებს სჭირდებათ მშობლის ან მასთან გათანაბრებული პირის თანხმობა რა დროსაც პასუხისმგებლობა ეკისრება მათ.[72] როდესაც ხდება ბავშვის მხრიდან თანხმობის მიღება უფლებამოსილი პირის და ასევე დამმუშავებლის მხრიდან აუცილებლად უნდა იქნეს გადამოწმებული, რომ ისინი მართლა არიან იმ ასაკის რა დროსაც შესაძლებელია მათგან თანხმობის მიღება.

ტექნოლოგიების განვითარებამ წარმოშვა ონლაინ თანხმობა რა დროსაც რთულია შეფასდეს ბავშვის კომპეტენტურობა. GDPR ონლაინ შეთავაზების დროს აწესებს ასაკას, რომელიც 16 წელია, მაგრამ იგი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს და ასევე იმ ქვეყნებს, რომელსაც რატიფიცირებული აქვთ ეს კანონი აძლევს საშუალებას თავად გადაწყვიტოს ქვეყანამ თუ რა ასაკს დააწესებს ამ დროს დამუშავებისას,[73] მაგალითად დიდმა ბრიტანეთმა ეს ასაკი 13 წლით განსაზღვრა,[74] რადგან ქვეყანა თავისუფალია თავად განსაზღვროს ეს ასაკი ამ შემთხვევაში დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი სირთულის წინაშე აღმოჩნდნენ, რადგან ყველა ქვეყანას შესაძლებელია სხვადასხვა ასაკი ჰქონდეს დაწესებული. ამ შემთხვევაში ჯერ უნდა მოხდეს იმის დადგენა თუ რომელი

[72] Applications Children and the GDPR-ICO- გვ.16

[73] პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ GDPR მე-8 (1)

[74] Applications Children and the GDPR-ICO- გვ.1

ქვეყნის მოქალაქის (ბავშვის) მონაცემები მუშავდება, რადგან ეს დამუშავე არ მოხდეს კანონის დარღვევით. ონლაინ დამუშავებისას ასევე საპასუხოა როდესაც თანხმობა ხორციელდება მშობლის ან მასთან გათანაბრბული პირისგან თუ რამდენად აქვს მას ამის უფლება, ასეთ შემთხვევაში დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებულია გადაამოწმონ. ბავშვის პირადი მონაცემების დამუშავებისას, მათი ასაკის მიუხედავად არ არის მშობლის თანხმობა საჭირო, როდესაც ხდება ონლაინ საკონსულტაციო, საგანმანათლებლო შეთავაზებები.

მიუხედავდ იმისა რომ GDPR დიდ ყურადღებას ამახვილებს ბავშვების პირადი მონაცემების დამუშავებაზე და განსაკუთრებით კი თუ მონაცემები მუშავდება ონლაინ, რისთვისაც მან ასაკიც კი განსაზღვრ და ქვეყნებს კი მისცა თავისუფლება თავად აერჩიათ ეს ასაკი ამის ფონზე სახელმწიფოებიც ცდილობენ ქვეყანაში შექმნან კანონმდებლობა, რომელიც დაიცავს ბავშვის უფლებებს ამ სფეროში, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, როგორც დამმუშავებელს ასევე უფლებამოსილ პირს. ამ თავში წამოჭრილი რამდენიმე პრობლემა, მხოლოდ მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებზეა დამოკიდებული, რადგან შესაძლებელია ქვეყანაში არსებობდეს შესაბამისი კანონმდებლობა ამ სფეროში, მაგრამ დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი არ ხელმძღვანელობდეს მისით და გულგრილად ეკიდებოდნენ მათ მიერ განხორციელებულ ქვედებებს, რომელსაც შეუძლია დააზიანოს მონაცემთა სუბიექტი. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ პასუხისმგეებლობა ეკისრება როგორც სახელმწიფოს და მშობელს ასევე დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს.

2.4 ბავშვის მონაცემთა დაცვის უფლების რეალზების გზები და მეთოდები

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება პერსონალური მონაცემების დამუშავებაც, რის შესახებაც ფიზიკური პირები

ინფორმირებულები არ არიან და ვერ ხვდებიან მის საფრთხეებს.[75] დამუშავებული პერსონალური მონაცემები უნდა იყოს გამჭირვალე სუბიექტისთვის, მათ უფლება აქვთ იცოდნენ თუ რა მონაცემები მუშავდება მათ შესახებ, როგორც დამმუშავებელმა ასევე უფლებამოსილმა პირმა ინფორმაციის მიწოდება უნდა მოახდინოს სუბიექტისთვის გასაგებ ენაზე მათი ასაკიდან გამომდინარე ეს ცოტა პრობლემას წარმოშობს ბავშვების შემთხვევაში თუ რა ენით უნდა მოხდეს მათთის ამ ინფორმაციის მიწოდება.

GDPR განსაზღვრავს ინფორმაციის მიწოდების ორ ვადას რაც დამოკიდებულია თუ როგორ არის ინფორმაცია დამუშავებული უშუალოდ სუბიექტისგან თუ სუბიექტის გარეშე.[76]

საქართველოში პერსონალური მონაცემების დამუშავებისას მათ აქვთ უფლება მოითხოვონ ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მასალების შესახებ. რომელიც მათ 10 დღის ვადაში უნდა მიეწოდოთ.[77] ასევე კანონმდებელი განსაზღვრავს მონაცემთა სუბიექტმა აირჩიოს მიწოდების ფორმა ეს იქნება ელექტრონული თუ არაელექტრონული საშუალებებით.

მაგალითად, პერსონალურ მონცემთა დაცვის ინსპექტორს მიმართა მოქალაქემ, რომელიც აცხადებდა რომ მოხდა მისი პერსონალური მონაცემების უკანონოდ დამუშავება და ასევე დაარღვიეს მისი ინფორმირებულობის წესებიც, რადგან ინფორმაციის მიწოდება არ მოხდა კანონით დადგენილ ვადებში, ინსპექტორის გამოკვლების შედეგად აღმოჩნდა რომ სუბიექტის მონაცემები იყო კანონის ფარგლების მიხედვით დამუშავებული, მაგრამ მათ დაარღვიეს სუბიექტის ინფორმირების 10 დღიანი ვადა.[78]

ასევე მოქალაქემ მიმართა ინსპექტორის აპარატს, რომელიც ამტკიცებდა რომ სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრომ მისი მონაცემები

---

[75] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო 2018 წლის გამოცემა გვ. 235
[76] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო 2018 წლის გამოცემა გვ. 241
[77] [77] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 22 (1) (3)
[78] ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტირების შესახებ 2016 წ. გვ. 100-101

დაამუშავა უკანონოდ და დაარღვია მისი ინფორმირების ვადა, ინსპექტორის აპარატმა დაადგინა რომ სამინისტრომ დაარღვია ინფორმირების ათ დღიანი ვადა.[79] როდესაც სუბიექტს მიეწოდება მოთხოვნილი ინფორმაცია ან ინფორმირებას ახდენს თავად დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ამ დროს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს პროპორციულობის პრინციპი.[80]

ინსპექტორის აპარატს მიმართა მოქალაქემ რომელიც აცხადებდა, რომ მას უკავშირდებოდნენ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით, რის შემდეგაც მან კომპანიაში ელ-ფოსტა გააგზავნა და ითხოვდა მისი მონაცემების წყაროს შესახებ ამის შესახებ მას კანონით დადგენილ ვადაში არ მოაწოდეს ინფორმაცია, რითაც დაარღვიეს სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის და მისი 10 დღის ვადაში მიღების უფლება.[81] მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება უფრო აქტუალური ხდება, როდესაც მონაცემები მუშავდება ონლაინ, რაც გამოწვეულია მისი საფრთხეებიდან გამომდინარე.

108-ე კონვენცია სუბიექტის უფლებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სუბიექტებს უფლება აქვთ მოითხოვონ მონაცემების გასწორება და განახლება, როდესაც სუბიექტს მიაჩნია რომ მის მიმართ დამუშავებული მონაცემები არაზუსტია და მას გასწორება და განახლება სჭირდება და მას ამის კანონიერ საფუძველი აქვს ასეთ შემთხვევაში უნდა იქნეს სუბიექტის მოთხოვნა დაკმაყოფილებული. განმცხადებელმა მიმართა მოლდოვის საჯარო რეესტრს რათა მის პირადობაში მომხდარიყო ეროვნების შეცვა მოლდოველი შეცვლილიყო რუმინულით, რაზეც მას უარი განუცხადეს, რაც გამოწვეულია

[79] ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტირების შესახებ 2016 წ. გვ. 100

[80] გუგავა. ნ განსაკუთრებული კატეგორიების პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები საქართველოს საჯარო სექტორში და საერთაშორისო გამოცდილება, თბილისი 2017 გვ. 91-92

[81] პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილება 10/06/2016 N1/165/2016

სხვა ეროვნების ჩაწერით.[82] ამ შემთხვევაში დარღვეულია ამ მოქალაქის უფლება რომელიც მას მინიჭრბული აქვს საერთაშორისო აქტებით, საჯარო რეესტრის მიერ განხორციელებული ეს ქმედება რამდენად შეიძლება ჩაითვალოს პირის დისკრიმინაციად ეროვნების მიხედვით.

მონაცემთა სუბიექტებს უფლება აქვთ მოითხოვონ დამუშავებული ინფორმაციის წაშლა, ამ უფლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვებისთვის, რადგან ცრუ ინფორმაციის ან მისი პირადი ინფორმაციის გასაჯაროვება მას ზიანს არ მიაყენებს. წაშლის უფლებას დავიწყების უფლებასაც უწოდებენ, რომელიც დამმუშავებელმა ან უფლებამოსილმა პირმა უნდა განახორციელოს. ბავშვებს ბოლომდე არ ესმით და არ აქვთ გააზრებული თუ რას მოიცავს წაშლის უფლება, რომლებიც ცდილობენ გაიგონ ბოლომდე მისი აზრი. ხოლო თუ ბავშვი არ არის იმ ასაკის რომ ეს გადაწყვეტილება მიიღოს ამის შესაძლებლობა აქვს მშობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, მშობლის მიერ ამ გადაწყვეტილებით შეიზღუდება თუ არა ბავშვის გამოხატვის და განვითარების უფლება. მშობელი ყველა ქმედებას შვილის სასიკეთოდ აკეთებს და რთულია ჩაითვალოს ეს მის პირად ცხოვრებაში ჩარევად. კანონმდებელი ასევე განსაზღვრავს თუ რა დროის განმავლობაში უნდა იყოს ხელმისაწვდომი მონაცემები ამ მიზნის საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიშში მოხვდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, რომელთაც პერსონალური მონაცემები განუსაზღვრელი ვადით ჰქონდათ გამოქვეყნებული საიტზე.[83]

ბიზნესში ბავშვის მონაცემების დამუშავება აქტუალური თემაა, როდესაც ისინი ონლაინ ამუშავებენ მონაცემებს და თანხმობა სუბიექტისგან ონლაინ აქვთ მიღებული ეს ეხება, როდესაც ბავშვი ცდოლობს ინფორმაციის მიღებას ითხოვენ პერსონალურ მონაცემებს საიტზე დასაშვებად რა დროსაც საკმარისია

---

[82] ECtHR, Ciubotaru v. Moldova, 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება N27138/04

[83] ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2016 წ. გვ 48

სუბიექტის თანხმობა ამ დროს უკვე აღარ მოწმდება თუ რა ასაკის არის ბავშვი და მას აქვს თუ არა თანხმობის მიცემის უფლება და ასევე საიტზე წვდომის ასაკიდან გამომდინარე.

ახალ ინოვაციებს მოაქვს რისკები სადაც აუცილებელია კონფიდენციალობა. ბავშვის კონფიდენციალობის საკითხი ემყარება მშობლის თანხმობას. ამით იგი უზრუნველყოფს მის კონფიდენციალურობას, რომლის დაცვაც ინტერნეტსივრცეში არც თუ ისე ადვილია. შემუშავებული უნდა იქნეს ისეთი მეთოდები რომლითაც მოხდება ბავშვის კომფიდენციალურიბის დაცვა. რისთვისაც პირველ რიგში აუცილებელია მათ გააცნობიერონ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა თუ რას გულისხმობს იგი ონლაინ სივრცეში. ონლაინ რისკები სამ კატეგორიად იყოფა. ბავშვებს სწრაფად ათვისების უნარი გააჩნიათ და თუ მოხდება სპეციალისტების მხრიდან მათ გასაგებ ენაზე ამის ახსნა მართალია მათ შეიძლება თავიდან გაუჭირდეთ, მაგრამ ისინი გაცნობიერებენ თუ რატომ არის პერსონალური მონაცემების დაცვა ასეთი საჭირო მათთვის. ეს პრობლემა ძირითადად პატარა ასაკის ბავშვებშია, დღევანდელ მოზარდებს არ უჭირთ გააზრება, მაგრამ იქიდან გამომდინარე რომ ყველა ადამიანი ინდივიდუალურად ვითარდება ამის გამოც კონფიდენციალურობის გააზრება განსხვავებულად ხდება.

ინტერნეტზე წვდომა უკვე არაერთი მოწყობილობითაა შესაძლებელი, რაც რისკებს უფრო მეტად ზრდის, რომ ბავშვები გახდნენ სხვადასხვა დანაშაულის მსხვერპლნი, ან თავად იყვნენ დამნაშავეები.

ინტერნეტსივრცეში სულ უფრო პოპულალური ხდება ბავშვთა ბულინგი, რომელსაც სპეციალისტები კიბერბულინგად მოიხსენიებენ.[84] რომელიც მოიცავს პირადი ცხოვრების კადრების გასაჯაროვებას და ამით შანტაჟს, მუქარას. ტრადიციული ბულინგისაგან განსხვავებით კიბერბულინგის დროს არ არის საჭირო ფიზიკური პირების ერთმანეთთან შეხვედრა. იგი როგორც

[84] საჯაია ქ. ბულინგი სოციალურ მედიაში სამაგისტრო ნაშრომი თბილის 2017 გვ 8

ბიჭებში ასევე გოგოებშიც უფრო და უფრო ვითარდება, რომელსაც მსხვერპლისთვის ფსიქოლოგიური პრობლემის შექმნა შეუძლია, სამწუხაროდ მისი ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში არ არსებობს, რაც მისი აღმოჩენის სირთულიდან არის განპირობებული. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ბავშვებისთვის საფრთხის შემცველია არის დანაშაულის ჩადენა, რაც ითვალისწინებს თავად ბავშვების მხრიდან მოხდეს სხვა მომხმარებლების შევიწროვება და დაშანტაჟება. ასევე ძალზედ აქტუალური თემა გახდა ინტერნეტ თამაშები, რომელმაც არაერთი ბავშვის ჩათრევა მოახერხა, რა დროსაც არის შემთხვევები რომ ბავშვმა შემდეგ თვითმკვლელობით დაასრულოს სიცოცხლე, ამის ერთ ერთი ნათელი მაგალითია თამაში ეგრედ წოდებული ლურჯი ვეშაპი, რომელიც პირველად რუსეთში ჩაისახა და მალევე გასცდა მის ფარგლებს და მოიცვა მთელი მსოფლიო.[85] ამისგან თავის დასაცავად შემუშავებულია ბავშვის უფლებათა ახალი კოდექსი რომელიც ძალაში 2020 წლის 1 სექტემბერს შევა.[86]

ასევე აქტუალურობით გამოირჩევა ინტერნეტსივრცეში პაემნების გვერდის არსებობა სადაც ბავშვები სექსუალური განცხადებების ობიექტები ხდებიან.[87] გადაწყვეტილებაში K.U. v. Finland (ECtHR) საუბარია არასრულწლოვან (12 წლის) ბავშვზე, რომელიც პედოფილიის მსხვერპლი გახდა ინტერნეტ პაემნების ვებგვერდზე. არის შემთხვევები როდესაც უცნობი პირო მოიპოვებს არასრულწლოვნის ნდობას და შემდეგ მას კამერის წინ გახდას აიძულებს, რისი შემთხვევების სამწუხაროდ როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოშიც არსებობს.[88]

---

[85] http://liberali.ge/articles/view/46297/lurji-veshapi

[86]https://edu.aris.ge/news/bavshvis-dacva-saxifato-informaciisgan-ra-gaiwera-bavshvta-axali-kodeqsit.html

[87] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე კ.უ ფინეთის წინააღმდეგ 02/12/2008 N2872/02 (40)

[88] https://mcm.ge/%E1%83%A8%E1%83%90%E83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9F%E1%83%98-

ეს საკითხები ინტერნეტსივრცეში მეტად აქტუალურია, მაგრამ მისი გაკონტროლება ვერ ხერხდება, რადგან სახელმწიფოს არ გააჩნია მისგან დაცვის მექანიზმები. ამიტომ სახელმწოფო ვალდებულია გადადგას ქმედითი ნაბიჯები და დაეხმაროს ინტერნეტ მომხმარებლებლებს განსაკუთრებით კი ბავშვებს, რათა მათ შეძლონ, როგორც საერთაშორისო ასევე სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებების სრულფასოვანი რეალიზება. ამ საკითხის მოგვარებაში სახელმწიფოსთან ერთად უნდა მონაწილეობდეს ინტერნეტმიმწოდებელი კომპანიები და ასევე მშობლები, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს ამ რისკების აღმოფხვრა, რომელიც ბავშვებს აზიანებს, მაგრამ ამის განხორციელება ისე უნდა მოხდეს რო არ დავარღვიოთ ბავშვის უფლება, რომ მას აქვს ინტერნეტზე წვდომის უფლება.

2.5 ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოებისთვის.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება რისკი პერსონალურ მონაცემების გასაჯაროვების, რომელიც შეიძლება სამ კატეგორიად დავყოთ 1. შინაარსობრივი რისკები, 2. კონტაქტური საფრთხეები, 3. ქცევითი რისკები.[89] პერსონალური მონაცემების დამუშავების გარეშე არ არსებობოს მსოფლიო. მათი დამუშავება ხდება, როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორში, როგორც დამმუშავებელი ასევე უფლებამოსილი პირი ვალდებულია მიიღოს ყველა ის ორგანიზაციული და ტექნიკური უსაფრთხოების ზომები, რომლითაც ისინი დაცული იქნება, მისი გამჟღავნებისგან და შეცვლისგან და არ მოხდეს სუბიექტის უფლებების დარღვევა, რა დროსაც ეს ზომები აუცილებლად უნდა იყო რისკის პროპორციული. მაგრამ თუ მოხდება მათი გამჟღავნება ორივე ვალდებულია აღრიცხოს თუ რა მონაცემების გამჟღავნება მოხდა და როდის

%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90/

[89] შემაჯამებელი ანგარიში ბავშვები ციფრულ სამყაროში 2017 წ გვ 26

მოხდა. პერსონალური მონაცემების დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებულია უზრუნველყოს, როგორც ელექტრონული ასევე არაელექტრონული ფორმით არსებული პირადი მონაცემები.

როგორც ვიცით პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად საჭიროა სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, ასევე ხდება როდესაც არის მონაცემების გამჟღავნება მასაც სჭირდება სამართლებრივი საფუძველი რომლის აღრიცხვაც უნდა მოხდეს, რომ იგი კანონიერად ჩაითვალოს. გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი არის მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, ხოლო ბავშვების შემთხვევაში მას ამის უფლება თუ არ აქვს მის მშობელს ან მასთან გათანაბრებული პირის.

იმისთვის რომ შეიქმნას პერსონალური მონაცემების დაცვის ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები ამისთვის აუცილებელია მათი შეფასება, როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორში. დამმუშავებელმა და უფლებამოსილმა პირმა უნდა შეაფასოს დამუშავებული ინფორმაცია თუ რა სახისაა და რა საფრთხის შემცველია იგი სუბიექტისთვის, თუ მოხდება მისი გასაჯაროვება რის შემდეგაც უნდა განსაზღვროს თუ, როგორ მოხდება მათი დაცვა და ვის ექნება მასზე წვდომა თუნდაც დაცვის მიზნით.

დამმუშავებელი ვალდებულია აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგები, სადაც აღრიცხული იქნება: ა) ფაილური სისტემის სახელწოდება, ბ) მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის დასახელებები, მისამართები, მონაცემთა შენახვა დამუშავების ადგილი, გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები, დ) მონაცემთა სუბიექტის კატეგორია, ე) მონაცემთა კატეგორია ფაილურ სისტემაში, ვ) მონაცემთა დამუშავების მიზანი, ზ) მონაცემთა შენახვის ვადა, თ) მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის ფაქტი და საფუძვლები, ი) ფაილურ სისტემაში განთავსებულ მონაცემთა მიმღები და მათი კატეგორიები, კ) ინფორმაცია მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის

გადაცემის შესახებ და ასეთი გადაცემის სამართლებრივი საფუძვლები, ლ) მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისათვის დადგენილი პროცედურის ზოგადი აღწერილობა.[90] რაც თავდაცვის ძირათი საშუალებებია. მაგრამ რეალობა აჩვენებს რომ ეს საკმარისი არ არის.

როგორც უკვე ვახსენეთ პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხიმგებელი პირები არიან დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი, მაგრამ მათთან ერთად მუშაობენ სხვა თანამშრომლებიც, იმისთვის რომ ამ მონაცემებზე წვდომა არ ჰქონდეს ყველა იქ მომუშავე ადამიანს საჭიროა განისაზღვროს ის თანამშრომლები, რომელთაც ექნებათ წვდომა მონაცემებზე და დამმუშავებელთან და უფლებამოსილ პირთან ერთად ვალდებულები და პასუხისმგებლები იქნებიან უზრუნველყონ მონაცემების დაცვა, რადგან რაც უფრო ნაკლებ ადამიანს ექნება მასზე წვდომა მით უფრო ნაკლებია მონაცემებს გამჟღავნების შანსი.

როგორც კერძო ასევე საჯარო სამსახურებში აუცილებელია სისტემატურად ხდებოდეს თანამშრომლების ტრენინგები, რადგან ეს არის ის სფერო, რომელიც ყოველდღიურად იცვლება მისი უსაფრთხოების წესები რისკებიდან გამომდინარე. უნდა მოხდეს თანამშრომლების გადამზადება და მათი ინფორმირება უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ამ ყველაფერს შედეგი არ ექნება თუ არ მოხდება მონაცემების საიდუმლოების დაცვა პროგრამული სისტემით, რისთვისაც შემუშავებული უნდა იყოს სპეციალური აპლიკაციები რის საშუალებითაც მოხდება მათი დაცვა, რისთვისაც აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ევროკავშირის მიერ შექმნილი სტანდარტები, რომელიც პრაქტიკიდან გამომდინარეობს.

ამ სფეროში პროგრამული უზრუნველყოფა პერსონალური მონაცემების განუყოფელი ნაწილია, სადაც ფაილური სისტემით უნდა ხდებოდეს

[90] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 19 (1)

მონაცემების დაცვა. პროგრამული უზრუნველყოფის დროს დამმუშავებელმა და უფლებამოსილმა პირმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მისი დაცვა. კომპიუტერულ სისტემებში ეს ხდება ანტივირუსების საშუალებით, რომელიც დღეს დღეობით უკვე ვეღარ ჩაითვლება დაცის საშუალებათ, რადგან მათი დაზიანება და კომპიუტერში შეღწევის არაერთი ფაქტი არსებობს, აქედან გამომდინარე აუცილებელია ყოველთვის მომზადებულები იყვნენ საგანგებო სიტუაციებისთვის, რის დროსაც აუცილებელია არსებობდეს სწრაფი რეაგირების საშუალებები, მათ ამ დროს უნდა შეეძლოთ მოახდინონ პერსონალური მონაცემების სხვა აპლიკაციებში გადატანა, დაცვის მიზნით, რათა მოხდეს ზიანის მაქსიმალური შემცირება, ასევე მათ უნდა იზრუნონ მონაცემების აღდგენაზე, რის შემდეგაც აუცილებლად უნდა შემოწმდეს სისტემა, დაცული იყო თუ არა ყველა დაცვის მექანიზმი და გათვალისწინებული საერთაშორისო რეკომენდაციები.

2.6 ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა სოციალურ ქსელებში

რა სახის ზომები უნდა გაატაროს დემოკრატიულმა სახელმწიფომ, რომ დაიცვას მოქალაქეები სოციალურ ქსელში მათი პირადი მონაცემების გასაჯაროვებისგან, რომელიც დღეს აქტუალური საკითხია, რადგან მან ეს ისე უნდა განახორციელოს, რომ არ დაარღვის მისი სხვა უფლებები, ეს არის საკითხი, რომელზეც მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს მსჯელობა. ამ სიტუაციიდან ყველაზე კარგი გამოსავალი ალბათ იქნება ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც სოციალურ ქსელებს დაავალდებულებს მიიღონ ყველა ის დაცვის საშუალება, რაც მონაცემების გასაჯაროვებას ხელს შეუშლის, ეს იქნება ახალი დამცავი ტექნიკის შეძენა თუ მისი დამონტაჟება.

2012 წლისთვის სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობა ორ მილიარდს შეადგენს,[91] ხოლო Statista.com ის ინფორმაციით სოციალური

[91] სვანაძე. ვ სოციაური ქსელები-დემოკრატია თუ უსაფრთხოება გვ 3

ქსელების მომხმარებლები 2019 წლისთვის 2 მილიარდ 770 მილიონი იქნება,[92] სადაც ბავშვების რაოდენობა ყოველდღიურად უფრო და უფრო იზრდება, მისმა განვითარებამ იმდენი პრობლემები წარმოშვა რომ იგი აჭარბებს მის დადებით მხარეებს.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მშობლები უფრო და უფრო მწვავე დილემის წინაშე დგანან, რადგან ბავშვების ცხოვრებაში სოციალურ ქსელებს დიდი ადგილი უჭირავთ. მათ მიაჩნათ რომ ინტერნეტი და სოციალურ ქსელები მათი განვითარების საშუალებაა.

როდესაც მომხმარებელი რეგისტირდება ინტერნეტსივრცეში სხვადასხვა საიტებზე მას დასარეგისტრირებლად აუცილებლად სჭირდება პაროლი თავის დაცვის მიზნით. ეს პაროლი სასურველია ყველა დარეგისტრირებულ საიტზე იყოს სხვადასხვა, რომელიც უნდა შეიცავდეს ბევრ და განსხვავებულ სიმბოლოებს, რომელიც მოქალაქეს უფრო დაცულს ხდის. ასევე ყურადღება მისაქცევია რეგისტრაციის დროს საიტზე მითითებული ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესებზე, რომელსაც სამწუხაროდ ყურადღებას თითქმის არავინ აქცევს, რასაც ხშირად მათი მონაცემების გასაჯაროვება მოჰყვება, ამის თავიდან ასაცილებლად რეგისტრაციის დროს აუცილებელია მოქალაქე გაეცნოს ამ მოწოდებულ ინფორმაციას და გააცნობიეროს თუ რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს რის შემდეგაც მას შესაძლებელია დარეგისტრირების სურვილიც აღარ ჰქონდეს.

იგივე პრობლემა არის ისეთ საიტებზე რეგისტრაციის დროს, როდესაც საიტი პირდაპირ გეკითხება თანახმა ხარ თუ არა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რაზეც ხდება თანხმობის მიცემა, იმის მიუხედავად რომ მათ სხვა არანაირი ინფორმაცია არ მოუწოდებიათ. ამ დროს არ გვაქვს ინფორმაცია თუ რა სახის და რა ოდენობის მომაცემების დამუშავება ხდება და ასევე რა ვადით. ამ ყველაფერს სამწუხაროდ მოსახლეობა ყურადღებას არ აქცევს,

[92] https://www.bm.ge/ka/article/statistacom-2019-wels-msoflioshi-socialuri-qselebis-momxmarebelta-ricxvi-2-mlrd-770-mln-iqneba/28138

როდესაც ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მას შეუძლია თავის დაცვა იმ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც მას მიაწვდის ზუსტ ინფორმაციას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. მოცემული სიტუაციების შემთხვევაში თავდაცვის ერთადერთი საშუალება ჩვენი დაინტერესებაა თუ რაზე ვაძლევთ თანხმობას.

მაგრამ ამ შემთხვევაში კიდევ ერთ პრობლემას ვაწყდებით, როდესაც საქმე ეხებათ ბავშვებს, რადგან მათ რომც განახორციელონ ინფორმაციაზე გაცნობა შესაძლებელია მათ ვერ გაიგონ თუ რაზეა საუბარია ამიტომ ამ შემთხვევაში დიდი როლი უკვე მშობელს ეკისრება. იმისთის რომ ბავშვებმა გაიაზრონ სოციალური ქსელების უარყოფითი მხარეები ისევ და ისევ აუცილებელია მათი ინფორმირება ადამიანის უფლებებზე და გაიაზრონ რომ მათ ასევე არ შეზღუდონ სხვისი უფლებები, მათ უნდა შეძლონ თავად ამოიცნონ ის საფრთხეები რაც მათ პერსონალურ მონაცემებს ემუქრება სოციალური ქსელების საშუალებით.

სოციალურ ქსელში რეგისტრაციისას რა დროსაც მუშავდება პერსონალური მონაცემები აუცილებელია დაცული იქნეს შესაბამისი სისტემით. სუბიექტს უნდა ჰქონდეს უფლება განსაზღვროს პირთა წრე რომელთაც ექნებათ წვდომა მის ინფორმაციაზე, მას უნდა გააჩნდეს უფლება როგორც გაზარდოს ასევე შეამციროს ამ პირთა წრე, რის საშუალებასაც სოცილური ქსელები გვაძლევენ, ამის საშუალებით მათ შეუძლიათ გააკონტროლონ გაზიარებული ინფორმაცია ვინ შეიძლება ნახოს და ეს ინფორმაცია არ იყოს საჯარო, მაგრამ ამას არც თუ ისე ბევრი ბავშვი იყენებს.

ნებისმიერი სოციალური ქსელი არის საფრთხის შემცველი ბავშვებისთის, რადგან ისინი ვერ განსაზღვრავენ თუ მათ მიერ განხორციელებულმა ქმედებამ რა საფრთხე შეიძლება შეუქმნას მას. მან არ უნდა გაასაჯაროვოს ისეთი პირადი ინფორმაცია რომელიც მას საფრთხეს შეუქმნის ასეთი შეიძლება იყოს პირადი ნომერი, რომლის საშუალებითაც არაერთი მოქმედების განხორციელებაა

შესაძლებელი, რაზეც შესაძლებელია ბავშვს ინფორმაციაც კი არ ჰქონდეს. ასევე მნიშვნელოვანა მომხმარებელმა თავი შეიკავს საეჭვო ჯგუფებში გაწევრიანებისგან. დღეისთვის კიდევ ერთი აქტუალური თემა სოციალურ ქსელებში არის ლინკები, რომლის საშუალებითაც ხდება პირად ინფორმაციაზე წვდომა. აქ რთული განსასაზღვრია თუ ვინ არის დამმუშავებელი და ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მონაცემების გასაჯაროვების შემთხვევაში, იმის მიუხედევად დამუშავება ევროკავშირის ტერიტორიაზე მიმდინარეობს თუ არა.

სოციალური ქსელები კიდევ არაერთ საფრთხეს შეიცავს, მაგალითად როგორიცაა ნებისმიერ ინფორმაციზე წვდომა რის საშუალებესაც იძლევიან და მისი გაფილტვრა ვერ ხდება, ასევე ბავშვები ხდებიან მასზე დამოკიდებულები და სურთ რომ მთელი თავისუფალი დრო გაატარონ ამ სოციალურ ქსელებში, რაც იწვევს ბავშვების სამყაროსაგან და რეალობისაგნ მოწყვეტას და მათი ფიზიკური აქტივობის შემცირებას რაც ბავშვის ჯამრთელობისთვის არ არის კარგი. მისი საშუალებით ასევე შესაძლებელია აზარტულ თამაშებში ჩაბმა, რაც არასრულწლოვნის ფსიქიკაზე ცუდათ მოქმედებს.[93]

ამ ყველა რისკიდან გამომდინარე პერსონალური მონაცემების დაცვა სოციალურ ქსელში ძალზედ მნიშვნელოვანია ბავშვებისთის, მათი მონაცემების გასაჯაროვების შემთხვევაში ინტერნეტსერვერის ოპერატორი ვალდებულია დააზუსტოს, რომ სუბიექტი თანახმაა მისი მონაცემების გასაჯაროვებაზე.[94]

ამ ყველაფრისგან თავის დასააცავად დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მშობელს, რადგან მან უნდა მოახდინოს შვილის ინფორმირება აუხსნას რომ არ შეიძლება მისი პირადი ინფორმაციის გასაჯაროვება და რაც მთავარია

---

[93] https://zneoba.ge/4573/

[94] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე კ.უ ფინეთის წინააღმდეგ 02/03/2009 N2872/02

როდესაც იგი გამოიყენებს სხვადასხვა მოწყობილობებს სოციალურ ქსელში შესასვლელად მან არასდროს არ უნდა მოახდინოს პაროლის დამახსოვრება.

ასევე მნიშვნელოვანი საკითხია თუ რა ასაკიდან არის შესაძლებელი ბავშვების სოციალურ ქსელებში ჩასართავად უმრავლესობას ეს ასაკი განსაზღვრული აქვს და იგი შეადგენს 13 წელს,[95] მაგრამ რამდენად კონტროლდება ეს საკითხი ეს არის მნიშვნელოვანი, რადგან რეალობა აჩვენებს რო უფრო პატარა ასკის ბავშვები არიან დარეგისტრირებულები, რადგან დარეგისტრირების დროს ნებისმიერი წელის მითითებაა შესაძლებელი. რის შედეგადაც აღმოჩნდა რომ 18 წლამდე მოზარდები მომხმარებელთა მესამედს შეადგენენ.[96] ასევე ვრცელდებდა ინფორმაცი რომ შესაძლებელია facebook-მა 13 წლამდე ასაკის ბავშვებსაც მისცეს რეგისტრაციის უფლება მშობლის მეთვალყურეობით, რათა მან შეძლოს შვილის გაკონტროლება.[97] მაგრამ ფაქტია რომ პატარა ბავშვები არიან დარეგისტრირებულები მშობლის მეთვალყურეობის გარეშე. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთაქვათ რომ მომხმარებელთა ასაკის განსაზღვრა და დარეგულირება ამ მომენტისთვის რთულია, მაგრამ შეგვიძლია განსაზღვროს თითოეულმა მშობელმა თუ რა დრო უნდა გაატაროს მისმა არასრულწლოვანმა შვილმა ინტერნეტში და კერძოდ სოციალურ ქსელებში, რომლითაც შესაძლებელია ცოტათი მაინც შევამციროთ ის რისკები, რაც სოციალურ ქსელებს გააჩნიათ.

2016 წლიდან facebook-ში გაჩნდა ახალი აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც შეგვძლია გავიგოთ თუ ვინ იყო შემოსული ჩვენს გვერდზე და ვინ დაათვარიელა ჩვენს მიერ განხორციელებული სხვადასხვა მოქმედებები ამ ინფორაციის მიწოდება ჩვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის სანაცვლოდ ხდებოდა რის შესახებაც მოქალაქეები ინფორმირებულები არ იყვნენ.[98]

---

[95] https://www.amerikiskhma.com/a/galileo-kids-screen-time/4225257.html

[96] https://sputnik-georgia.com/tips/20190128/244084062/mozardi-da-socialuri-qseli.html

[97] https://netgazeti.ge/technology/14345/

[98] ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2016 წ. გვ 104

სამწუხაროდ ამ აპლიკაციას არაერთი მომხმარებელი გამოიყენებდა ინფორმაციის მისაღებად ისე რომ მათ არანაირი კითხვები არ გასჩენიათ.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პატარა ასაკის ბავშვებისთვის სოციალური ქსელები არის ზიანის მომტანი, მაგრამ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ვერ ავუკრძალავთ მისით სარგებლობის უფლებას, რადგან იგი ასევე არის კომუნიკაციის საშუალება, რომლითაც ხდება სხვადასხვა ადამიანთან კონტაქტი, ამიტომ უკვე მშობელზეა დამოკიდებული, თუ როგორ გააკონტროლებს იგი შვილის სხვადასხვა აქტივობას იგი განუსაზღვრავს დროს თუ რა დროის განმავლობაში უნდა გამოიყენს, ეს ყველაფერი ისე უნდა განხორციელდეს, რომ არ დაირღვეს ბავშვის უფლებები, რომელიც მას მინიჭებული აქვს.

სამართლებრივ სახელმწიფოში როდესაც ხდება ფიზიკური პირის უფლებების დარღვევა მას თავის დასაცავად გააჩნია სამართლებრივი მექანიზმები, ასეთივე მექანიზმები გააჩნიათ იმ სუბიექტებს რომლის პირადი მონაცემების გასაჯაროვებაც მოხდება.

დასკვნა

21-ე საუკუნეში ინტერნეტი კომუნიკაციის საშუალებაა, როდესაც ხდება ციფრული სამყაროს განვითარება აუცილებელია არსებობდეს პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს სამართლებრივი და უსაფრთხო გარემო, რათა თავიდან იქნას აცილებული ის შედეგები რაც შესაძლებელია მისმა გამჟღავნებამ გამოიწვიოს.

წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით ინტერნეტსივრცეში, რომელსაც ხშირი და განმეორებითი ხასიათი აქვს. საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით არსებული პრობლემები წარმოჩენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სხვადასხვა ანგარიშებში. ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა ინტერნეტსივრცეში გლობალურ პრობლემას წარმოადგენს კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად. ეს არის პრობლემა, რომელიც მთელ მსოფლიოს არის მოდებული და არაერთი მცდელობის მიუხედავად აღმოეფხვრათ იგი მაინც არსებობს, მისგან თავის დასაცავად საჭიროა სახელმწიფოების და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ერთიანი ძალისხმევა, რომლებიც ერთმანეთს გაუზიარებენ მათ გამოცდილებას და შემუშავებული იქნება ამ პრობლემის გადაჭრის მექანიზმები.

პრობლემური საკითხების უკეთ შესწავლისთვის განხილულ იქნა, როგორც ქართული ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც, სასამართლოს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია, რადგან ხშირად ხდება პრაქტიკაზე დაყრდნობა და მისით ხელმძღვანელობა.

წარმოდგენილი ნაშრომის საფუძველზე იკვეთება სხვადასხვა პრობლემები, მაგალითად ეს არის ცნობადობის საკითხი, რომელიც როგორც მთელ მსოფლიოში ასევე საქართველოშიც ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას

წარმოადგენს ასაკის მიუხედავად, რადგან ყველა ასაკის მოქალაქეს აქვს ეს პრობლემა. მოქალაქეებს არ აქვთ ინფორმაცია რომ სხვადასხვა საიტებზე წვდომის დროს ხდება მათი პერსონალური მონაცემების დამუშავება და თუ რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს მათი მონაცემების გამჟღავნებამ ინტერნეტის და კერძოდ სოციალური ქსელების საშუალებით. სამწუხაროდ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოქალაქეებმა არც კი იციან თუ რა არის პერსონალური მონაცემები. ასევე მათ არ აქვთ ინფორმაცია თუ როგორ უნდა განახორციელონ საკუთარი პერსონალური მონცემების დაცვა. ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭიროა სახელმწიფოების მხრიდამ გადაიდგას მკვეთრი ნაბიჯები სხვადასხვა ზომების განსახორციელებლად, რათა მოხდეს მოქალაქეების ინფორმირება, რისთვისაც საჭიროა პირველ რიგში კანონმდებლობის უფრო დახვეწა, მიმაჩნია რომ მოქალაქეების ინფორმირებისთის ყველაზე მოსახერხებელი მაინც სარეკლამო საშუალებები არის, როგორც ტელევიზიით ასევე ქუჩებში სხვადასხვა პლაკატების გამოკვრა, ბუკლეტების დარიგება ასევე მსგავსი სახის რეკლამები გამოჩნდეს ინტერნეტსივრცეშიც, თან არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ეს ყველაფერი ისე განხორციელდეს რომ იგი გასაგები იყოს, როგოც ზრდასრული ადამიანებისთვის ასევე ბავშვებისთის, რადგან როგორც უკვე ნაშრომშიც ვახსენეთ ისინი წარმოადგენენ ყველაზე დაუცველ ფენას ინტერნეტსივრცეში. ასევე ბავშვების ინფორმირებისთვის კარგი იქნება თუ სკოლებში მოხდება სპეციალისტების მხრიდან ინფორმაციის მიწოდება ლექციის სახით, სადაც ბავშვების მიერ დასმულ კითხვებსაც გაეცემა პასუხი და მათთვის უფრო ნათელი გახდება თუ რა დიდ პრობლემასთან არის დაკავშირებული პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს მან.

პრობლემურია ასევე თანხმობის საკითხი, რომელიც ხორციელდება ინტერნეტსივრცეში და რომელსაც ანხორციელებენ ბავშვები, მშობლები ან

მასთან გათანაბრებული სხვა პირები, რადგან ასეთ შემთხვევაში რთულდება იმის დადგენა არიან თუ არა ამისთვის უფლებამოსილი პირები. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან არ მოხდეს მონაცემების დამუშავება არაუფლებამოსილი პირის თანხმობის საფუძველზე. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ ასევე დამმუშავებელმა და უფლებამოსილმა პირმა უნდა შეიმუშავონ ისეთი მექანიზმი, რომლითაც მოხდება ამის დადგენა. ასევე პრობლემას წარმოადგენს თანხმობაზე უფლებამოსილი ბავშვის ასაკი ეს პრობლემა ნათლად ჩანს ინტერნეტით მონაცემების დამუშავებისას. ამ საკითხთან დაკავშირებით მიმაჩნია რომ სასურველია იყოს ერთი პრაქტიკა ანუ ყველგან ერთი ასაკი და სახელმწიფოების მხრიდან არ ხდებოდეს ამ ასაკის განსაზღვრა, რადგან ვთვლი რომ ესე უფრო მოხერხდება მათი უფლებების დაცვა, რადგან დამმუშავებელს და უფლებამოსილ პირს ეცოდინებათ რომ ამ საკითხზე არსებობს ერთი პრაქტიკა ყველა ქვეყნისთვის და მათთვისაც უფრო გამარტივებული იქნება.

სახელმწიფო ცდილობს დაიცვას ადამანის პერსონალური მონაცემები, მართალია პიროვნება რომლის მონაცემებიც მუშავდება ყველა დამუშავების სუბიექტები არიან მაგრამ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ რისთვისაც საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც შემოიფარგლება სხვადასხვა კანონმდებლობის მიღებით, რომელიც დაიცავს კონკრეტულად ბავშვის ინტერესებს, როგორც რეალურ ასევე ინტერნეტსივრცეში.

პერსონალური მონაცემების დამუშავება პრინციპების და საფუძვლების გარეშე ეს არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც არსებობს საქართველოში, და რომელიც ძალზედ აქტუალური თემაა, მითუმეტეს როდესაც საქმე ეხება ბავშვების პერსონალური მონაცემების დამუშავებას და განსაკუთრებით მაშინ როდესაც დამუშავება ხორციელდება სოციალური ქსელების საშუალებით. ამ დროს ყველაზე მეტად ირღვევა პრინციპები და საფუძვლები, ამის

დასარეგულირებლად მიმაჩნია რო საჭიროა მოქალაქეების ინფორმირება და ასევე ვთვლი რომ საჭიროა მკაცრი სანქციების შემოღება, რომელიც შეეხება როგორც საჯარო ასევე კერძო დაწესებულებებს, რომლებიც განახორციელებენ მონაცემების დამუშავებას. ხშირია შემთხვევები მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის მხრიდან გულგრილობა და არაკომპედენტურობა, როდესაც ანხორციელებენ მონაცემების დამუშავებას, შესაბამისად თუ მოხდება სანქციების და კანონმდებლობის გამკაცრება შესაძლებელია შევამციროთ მათი ასეთი ქმედებები, რომელიც აზარალებს მონაცემთა სუბიექტებს.

პერსონალური მონაცემების დაცვა მსოფლიოსთვის აქტუალური თემაა, რომელიც არაერთი საერთაშორისო და კანონმდებლობით არის დაცული. იგი ადამიანისთვის იმდენად მნიშვნელოვანი სფეროა მიმაჩნია რომ იგი კონსტიტუციით დაცული უფლება უნდა იყოს, სადაც ცალკე გამოიყოფა ბავშვის (არასრულწლოვნების) საკითხი. ვთვლი რომ მისი კონსტიტუციით დაცვა უფრო წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის განვითარებისათვის ამ სფეროში.

საქართველოსთვის ყველაზე დიდ პრობლმას ასევე წარმოადგენს ონლაინ სივრცეში დაცვის მექანიზმების არარსებობა, კანონმდებელი არ ითვალისწინებს ისეთ მექანიზმებს, რომლითაც შესაძლებელი იქნება არასრულწლოვნების მავნე ინფორმაციისაგან ან საეჭვო გვერდებისგან დაცვას, ამ საკითხის დასარეგულირებლად სახელმწიფომ ინტერნეტპროვაიდერებთან ერთად უნდა შექმნას ისეთი სისტემა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ინტერნეტში არსებული ინფორმაციის ისე გაფილტვრა რომ ბავშვებს ხელი არ მიუწვდებოდეთ მათთვის მავნე ინფორმაციზე, მაგრამ ეს ყველაფერი ისე უნდა განხორციელდეს რომ არ დაირღვეს ბავშვის სხვა უფლებები.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ ქართულ კანონმდებლობაში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული სხვადასხვა ქმედებების

მიუხედავად პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით ჯერ კიდევ არსებობს ხარვეზები, რაც განპირობებულია ამ პრობლემების მოგვარების მექანიზმების ნაკლოვანებებით. თუმცა მათი გამოსწორება შესაძლებელია თუკი მოხდება საერთაშორისო პრაქტიკის და სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც ამ სფეროში წარმატებას მიაღწიეს. საჭიროა მათი გამოცდილების და პრაქტიკის გაანალიზება და მათი გათვალისწინება.

ბიბლიოგრაფია

ქართული

1. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო 2018 წელი
2. კახაბერ გოშაძე- მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი 2014 წელი
3. ავტორთა კოლექტივი საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი 2013
4. ბესარიონ ბოხაშვილი, კონსტანტინე კორკელია- პირადი და ოჯახური პატივისცემის უფლება და მათი სახელმწიფოს ვალდებულებები, თბილისი 2017
5. საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტი პირადი და ოჯახური ცხოვრეს ხელშეუხებლობის უფლება. 2014 კვლევა
6. სამართლებრივი დოკუმენტი ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო 2014
7. მჭედლიძე ნ. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტები თბილისი 2017
8. მინაშვილი ა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა თავისუფალი ინსტიტუტი 2005
9. მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა ამერიკული სახლისგან, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები 2017
10. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები სტატიათა კრებული კორკელია კ. რედაქტორობით, თბილისი 2016
11. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო სტატიათა კრებული კორკელია კ. რედაქტორობით. თბილისი 2011
12. საერთაშორისო სამართლის ქრონიკები (სტუდენტთა ნაშრომის კრებული) თბილისი 2018
13. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება (კანონმდებლობის კვლება) 2017
14. ბავშვის მიერ ინტერნეტის უსაფრთხოდ მოხმარება მშობელთა გზამკვლევი 2018
15. ტურავა პ; ავალიშვილი ლ; ჯორბენაძე ს, ინფორმაციის თავისუფლება გზამკვლევი საჯარო დაწესებულებებისთვის.

უცხოური ლიტერეტურა

1. TRAINING OF TRAINERS ON HUMAN RIGHTS EDUCATION WITH CHILDREN, 2010
2. GUIDE TU HUMAN RIGHTS FOR INTERNET USER 2014
3. IT·S OUR WORLD-CHILDREN·S VIEWS ON HOW TO PROTEQT THEIT RIGHTS IN THE DIGITAL ENVIRONMENT 2017

4. Mario Viola de Azevedo Cunha-Child Privacy in the Age of web 2.0 and 3.0: challenges and opportunities for policy 2017

5. The General Date Protection Regulation and Children's rights question and answers for legislators, DPAS, industry, education stakenholders and civil society. 2017 წლის 23 ივნისი

6. Mariya stoilova, Sonia Livingstone and Rishita Nandagiri- Children's date and privacy online –Growing up in a digital age 2018

7. Mariya stoilova, Sonia Livingstone and Rishita Nandagiri- Children's date and privacy online –Growing up in a digital age 2018 წელი

8. Convention 108+Convention for the protection of individuals with regard to the processing of personal data 2018

9. Applications Children and the GDPR-ICO

10. CHILDREN ONLINE PRIVACY-Practical Tips for Parents and Teachers

11. Krivokapic. D, Adamovic. J-IMPACT OF GENERAL DATA PROTECTION REGULATION ON CHILDREN'S RIGHTS IN DIGITAL ENVIROMENT.

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია 1995
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი 2011
3. საქართველოს კანონი- ბავშვის უფლებათა კოდექსი 2019
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბილისი 1999
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი 1997
6. საქართველოს ჟურნაისტთა ეთიკის ქარტია
7. კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ 1989 წლის 20 ნოემბერი
8. კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას პიზიკური პირების დაცვის შესახებ ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან
9. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
10. Modernised Convention 108, 2018;

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ო.ს მთავარი პროკურატურა სამცხე ჯავახეთის საოლქო პროკურატურის წინააღმდეგ 26/04/2016 N3ბ/1059-15

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 29/02/12 N2/1/484

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 24/10/12 N1/2/519

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 26/12/2007 N1/3/407

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ბარბულესკუ რუმინეთის წინააღმდეგ 5/09/2017 N61496/08 ქართული თარგმანი
2. ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება X ლატვიის წინააღმდეგ საქმე 26/11/2013 N27853/09 ქართული თარგმანი
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება კ.უ ფინეთის წინააღმდეგ 02/03/2009 N 2872/02 ქართული თარგმანი
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე გ.ს საქართველოს წინააღმდეგ 21/07/2015 N2361/13 ქართული თარგმანი
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ნ.წ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ 02/22/2016 N71776/12

მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებები

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილება 13/07/2016 N1/201/2016
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილება 10/06/2016 N1/165/2016

ნაშრომები

1. ბიჭია. მ პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი, 2012 წ
2. ჯგერენაია. ლ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები, თბილისი, 2012
3. ნამიჭეიშვილი. ს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა საქართველოში სისტემის გაუმჯობესების რეკომენდაციები და განვითარების სამომავლო სტრატეგიები, თბილისი, 2015
4. არჩუაძე. თ პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე ინფორმაციის დამუშავებისას, თბილისი, 2016
5. საჯაია. ქ ბულინგი სოციალურ მედიაში, თბილისი 2017 წ
6. გუგავა. ნ განსაკუთრებული კატეგორიების პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები საქართველოს საჯარო სექტორში და საერთაშორისო გამოცდილება, თბილისი, 2017 წ
7. ლაფანაშვილი. ი პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის მოწესრიგება ქართული და ევროპული სტანდარტების მიხედვით, თბილისი, 2018 წ
8. კაპანაძე. ნ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველყოფა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებულ ეტაპზე, თბილისი 2019 წ

9. წერეთელი. მ პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი მნიშვნელობა და სტანდარტები ბიზნეს ურთიერთობებში, თბილისი, 2019 წ.

10. ხარებაშვილი. ვ არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მოდგომა, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპი და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, თბილისი 2019 წ.

ანგარიშები:

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა საქართველოში 2013-2014 წ
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა საქართველოში 2014 წ
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტირების საქმიანობის შესახებ 2015 წ
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტირების საქმიანობის შესახებ 2016 წ
5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტირების საქმიანობის შესახებ 2017 წ
6. ბავშვები ციფრულ სამყაროში - მსოფლიო ბავშვთა მდგომარეობა 2017 unicef
7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018წ
8. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში 2019 წ
9. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი - რეკომენდაციები ინტერნეტ სივრცეში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

ინტერნეტრესურსი

1. http://www.library.court.ge/login.php?geo
2. https://singlelogin.org/?logoutAll
3. https://hudoc.echr.coe.int/eng
4. https://www.nplg.gov.ge/geo/home
5. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35
6. http://liberali.ge/articles/view/33166/bavshvebi-tsifrul-samyaroshi--ra-unda-vitsodet
7. https://phrgeorgia.wordpress.com/2017/09/13/mariam/
8. https://edu.aris.ge/news/bavshvis-dacva-saxifato-informaciisgan-ra-gaiwera-bavshvta-axali-kodeqsit.html

9. http://www.gurianews.com/article/mtavari/sazogadoeba/bavshvebis-usaprtkhoeba-internetshi-unicef-is-akhali-kvleva-sakartveloshi
10. http://kiberbulingi.blogspot.com/p/blog-page.html
11. http://www.tabula.ge/ge/story/136074-damcireba-shantazhi-muqara-internetshi-ra-aris-kiberbulingi-da-rogor-davicvat-tavi
12. http://mastsavlebeli.ge/?p=11543
13. http://liberali.ge/blogs/view/5894/personalur-monatsemta-datsva-akhali-gamotsveva
14. https://fortuna.ge/fortuna/post/internetshi-safrtkhis-shemcveli-informaciisgan-bavshvis-dacva-kanonmdeblobis-doneze-mokhdeba
15. https://www.etaloni.ge/geo/main/index/9316
16. https://police.ge/ge/gantskhadeba-sotsialur-qselshi-bavshvis-videoebis-gavrtselebastan-dakavshirebit/13065
17. https://fortuna.ge/fortuna/post/facebook-bulingi-dasjadia-internetdacinvaze-gamodzieba-daiwyo
18. https://sputnik-georgia.com/reviews/20170215/234886318/arsebobs-tu-ara-bulingis-oficialuri-statistika-saqartveloshi.html
19. https://jelec.iliauni.edu.ge/mukhli-20/
20. https://www.myadvokat.ge/ka/blog/10385/konvenciit-gatvaliswinebuli-bavshvta-uflebebi-da-mati-sauketeso-interesi
21. http://www.itpro.co.uk/security/24839/whatsapp-among-worst-rated-companies-in-privacy-study
22. https://netgazeti.ge/news/438882/
23. https://mcm.ge/%E1%83%A8%E1%83%90%E83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9F%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90/
24. https://sputnik-georgia.com/tips/20190128/244084062/mozardi-da-socialuri-qseli.html
25. https://www.bm.ge/ka/article/statistacom-2019-wels-msoflioshi-socialuri-qselebis-momxmarebelta-ricxvi-2-mlrd-770-mln-iqneba/28138
26. https://www.gfsis.org/ge/blog/view/970
27. https://www.amerikiskhma.com/a/galileo-kids-screen-time/4225257.html